ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 18 ივნისი, 2013 №142 (6143) ფასი: 30 თეთრი

12 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
დალაი ლამა
8 ლარი




# ვის დაპატიმრებას აპირებდნენ ნაციონალები




გვ.3

## შსს-მ საიდუმლო სამალავი აღმოაჩინა

## ვანო ჩხარტიშვილი შეიძლება დაიჭირონ

გვ.5

ვისი სახელით აპირებდა ბიზნესმენი საქართველოს დატოვებას



## მაგთიკომის განცხადება

მაგთიკომი MAGTICOM

მაგთიკომი ეხმაურება ბოლო დროს მის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას, რომელსაც მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს, თითქოს მაგთიკომი ცდილობს, სილქნეტს და კავკასუს ონლაინს დაპაუზების და გადახვევის მომსახურების მიწოდება აუკრძალოს.

ოპერატორებმა გადახვევის და დაპაუზების სერვისების მიწოდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე უნდა განახორციელონ.

ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა, ზემოხსენებულმა კომპანიებმა შესაბამისობაში მოიყვანონ ხელშეკრულებები ტელეარხების მომწოდებლებთან და დაპაუზებისა და გადახვევის უფლება ამ მომწოდებლებისაგან ოფიციალურად მიიღონ.

რამდენადაც ოპერატორებისათვის სამართლებლივი კუთხით თანაბარი პირობების შექმნა მარეგულირებელი კომისიის უშუალო ფუნქციაა, მაგთიკომმა მარეგულირებელ კომისიას აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით მიმართა.

მაგთიკომი ნოვატორი კომპანიაა, რომელიც მიესალმება ყოველგვარ სიახლეს, თუკი ის სამართლებრივ ჩარჩოებში განხორციელდება.



## კახა კუკავა: „ივანიშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრას არ კადრულობს“

გვ.2

საქართველო შესაძლოა იზოლაციაში მოექცეს

## ზაზა ხატიაშვილი: „ოცნება ასლან აბაშიძის პერიოდში დაბრუნდა“

გვ.4






## ვანო მერაბიშვილმა ტელევიზორის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო

გვ.3




## ვინ გადაარჩენს სადაზღვევო კომპანიებს?

გვ.2



## ნანა კაკაბაძე: „ქართველი ხალხის უპირობო მოთხოვნა ნაციონალური რეჟიმის გასამართლებაა“

გვ.6

ISSN 1987-9385

5 „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი პრაიმერის გზით გამოვლინდება

6 თემურ შაშიაშვილი: „უკრაინაში ჩვენს საელჩოს ისევ გივი თარგამაძე მართავს“

5 ნათელაშვილი ივანიშვილს ხალხის ქუჩაში გამოყვანით ემუქრება

6 პატრიარქმა ხელში 1300-მდე ადამიანი მონათლა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კახა კუკავა: „ივანიშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრას არ კადრულობს“

## საქართველო შესაძლოა იზოლაციაში მოექცეს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, კონგრესის რეზოლუციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს საზოგადოებაში. თქვენი პოზიცია როგორია ამასთან დაკავშირებით?***

— კონგრესის რეზოლუცია ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე საქართველოსთვის. ჩვენ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას, რომ ის ავტორიტარული და არადემოკრატიული ტენდენციები, რომელიც ხორციელდება დღეს საქართველოში, აუცილებლად გამოიწვევდა დასავლეთის რეაქციას. რა თქმა უნდა, აქცენტები კონგრესის რეზოლუციაში არასწორად არის დასმული, როცა საუბარია ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ჩინოვნიკების დაკავებაზე, თუმცა ძირითადი მიმართულება, რომ ხორციელდება შერჩევითი მართლმსაჯულება და ოპოზიციის მიმართ არადემოკრატიული მოპყრობა, ეს აშკარა ფაქტია, რომელსაც ვერავინ ვერ უარყოფს და ამაზე დღეს საქართველოში არამხოლოდ ნაციონალური მოძრაობა საუბრობს. სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა არარეალისტური წარმოდგენა იმაზე, რომ რასაც პატიობდნენ სააკაშვილს, მასაც აპატიებდნენ. ამიტომ ის თვლიდა, თუ სააკაშვილი უხეშად არღვევდა დემოკრატიულ პირობებს, ის რბილად დაარღვევდა და ამით დასავლეთის ყურადღებას არ მიიქცევდა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი იყო დასავლეთის პარტიულ აქტიურობებში, ბიძინა ივანიშვილი ასეთი არ არის, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მას ამ დემოკრატიული ნორმების უმცირეს დარღვევაზეც კი ძალიან მკაცრად მიუთითებენ და მე ვფიქრობ, ძალიან კარგიცაა, რომ მიუთითებენ. ბიძინა ივანიშვილმა ან უნდა ისწავლოს ქვეყნის დემოკრატიულად მართვა, ან უნდა შეეგუოს, რომ ის სულ მალე აღმოჩნდება სრულ იზოლაციაში. გარკვეულწილად ის იზოლაციაში უკვე არის. თქვენ ხედავთ, რომ ერევანს და ბაქოს მისი ვიზიტები ვერ გასცდა და შესაძლებელია ამ იზოლაციამ მალე უფრო შთამბეჭდავი ხასიათი მიიღოს.

***— როგორი შეიძლება იყოს ამ იზოლაციის შედეგები?***

— შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფატალური. მე ეს ყველაფერი მაგონებს 1991 წელს, როდესაც მაშინდელი ხელისუფლება, ეროვნული ხელისუფლება მოექცა როგორც საშინაო, ისე საგარეო ზეწოლის ქვეშ და მაშინდელ ხელისუფლებას არ აღმოჩნდა უნარი, რომ გამკლავებოდა ამ პრობლემას. დღევანდელი ხელისუფლებაც, მე ვფიქრობ, ყოველდღიურად ახორციელებს იმ პოლიტიკას, რასაც ჰქვია საკუთარი მოყვრების მტრებად გადაქცევა. თქვენ იცით, რომ ოპოზიცია, მე ნაციონალურ მოძრაობას არ ვგულისხმობ, არასაპარლამენტო ოპოზიციაზე მაქვს საუბარი, დღემდე უშედეგოდ ვთავაზობთ დიალოგს ძალიან ბევრ საკამათო საკითხზე, მაგრამ სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილი უარს ამბობს ჩვენთან შეხვედრაზე, უარს ამბობს ჩვენთან თანამშრომლობაზე და თვითონვე ძაბავს პოლიტიკურ ვითარებას ქვეყნის შიგნით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ შეერთებული შტატების კონგრესიც და ევროპული სტრუქტურებიც, უფრო და უფრო მწვავე შეფასებებს მისცემენ ივანიშვილის ანტიდემოკრატიულ კურსს საქართველოში.

***— რაც შეეხება თქვენი და გია ხუხაშვილის დაპირისპირების ფაქტს, უკვე კულუარული დებატები იმართება თქვენ შორის. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— ჩვენ შეერთებული შტატების კონგრესს გავუგზავნით ალბათ შესწორებას, რომ ამ რეზოლუციაში მითითებული იქნეს ელიტური კორუფციის შესახებ, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, რომ 9 წლის მანძილზე ვუპირისპირდებოდით სააკაშვილის ელიტურ კორუფციას, რომელიც ასოცირებული იყო კეზერაშვილის სახელთან და, ბუნებრივია, რომ დღეს ჩვენ ვერაფრით ვერ მოვიწონებთ იგივე ელიტიკურ კორუფციას, რომელიც, უბრალოდ, სხვა სახელთან და გვართან, გია ხუხაშვილთან არის ასოცირებული. ბუნებრივია, ეს არის ჩვენი ძალიან კატეგორიული მოთხოვნა, რომ ჩატარდეს დამოუკიდებელი გამოძიება ხუხაშვილის დანაშაულებათა შესახებ. ის, რომ ეს გამოძიება ჩაატარა მთავარმა პროკურატურამ და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შემდგომ მიუსაჯეს ევროპაში გამგზავრება, ეს თავისთავად ცხადია, რომ იქ სულაც არ იყვნენ ფარესაშვილი და ხვედელიძე იმ დრამის მთავარი პერსონაჟები. დღეს საქართველოში არსებობს მრავალმილიარდიანი კორუფცია და საქართველოს მოსახლეობას ყოველდღიურად აცლიან ჯიბიდან ფულს და აი, ამ ოლიგარქიული მაფიის ერთ-ერთი ლიდერი არის სწორედ გია ხუხაშვილი. თუმცა, რა თქმა უნდა, ის ვერ შეძლებდა იმას, რომ ეს ყველაფერი განეხორციელებინა, რომ არა პრემიერ-მინისტრის მფარველობა. მე არაერთი კონკრეტული ფაქტი მოვიტანე, თუმცა ამით არ დაინტერესებულა არც პროკურატურა და, რაც მთავარია, თვითონ ბატონი ხუხაშვილიც ბუჩქებიდან აკეთებს კომენტარებს, ხოლო პირდაპირ ტელედებატებზე მან უარი განაცხადა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა ოცნების ხელში გადავიდა ეს ე.წ. ელიტური კორუფცია?***

— ქართული ოცნება ძალიან პირობითი ტერმინია. ერთი და იგივე ხალხია ამის სათავეში და მათ ხან მოქალაქეთა კავშირი ჰქვიათ, ხან ნაციონალური მოძრაობა და ხან „ქართული ოცნება“, მაგრამ, პრინციპში, ეს კაპიტალი არ იცვლება. მე შეგახსენებთ, გია ხუხაშვილი, როგორც ახლა ეძგერა რკინიგზას-2012 წლის არჩევნების შემდეგ, ისე ეძგერა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ და მაშინაც რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო. რა თქმა უნდა, მარტო ხუხაშვილზე არ ვსაუბრობ, აქ არის რამდენიმე მსხვილი კორუმპირებული კლანი და როგორც ხდება ხოლმე, პრესაში აქცენტი კეთდება ერთ-ორ ყველაზე უფრო გამომხატველ პერსონაზე.

***— ბატონო კახა, სხვათა შორის, თქვენ ერთი პირველი იყავით, რომელმაც მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შემდეგ განაცხადეთ, რომ ეს დროებითია და პრეზიდენტის პოსტზე ივანიშვილი საკუთარ კანდიდატურას დაასახელებსო. დღეს კულუარულად ძალიან ბევრს საუბრობენ ამის შესახებ, რომ პრეზიდენტი ივანიშვილი იქნება, ხოლო პრემიერი — ღარიბაშვილიო...***

— დიახ, ეს ხმები მეც გამიგია და ვფიქრობ, რომ ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ არამყარი და არადამაჯერებელი ნაბიჯებით მიდის დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკურ გზაზე. მე ვფიქრობ, რომ კონგრესის რეზოლუცია ძალიან ბევრ რამეს შეცვლის თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში. ივანიშვილს აქვს ძალიან ცოტა დრო, ალბათ რამდენიმე კვირა იმისათვის, რომ პოლიტიკის კორექტირება მოახდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას პრეზიდენტის და პრემიერის ვინაობას სექტემბერში უკვე აღარ შეეკითხებიან.

***— უფრო კონკრეტულად, რა იგულისხმეთ?***

— ქვეყანაში მზადდება ძალიან სერიოზული პოლიტიკური კრიზისი და ივანიშვილი მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლზე ნავთს ასხამს, მეტს არაფერს არ აკეთებს.

***— საუბარია, რომ ნაციონალები ხელოვნურად ქმნიან ამ კრიზისს და ამაში დიდ როლს თამაშობს გიგა ბოკერიაო...***

— სულ ტყუილი მცდელობაა ახლა ბოკერიასა და რესპუბლიკელებზე საკუთარი შეცდომების დაბრალება. რამდენი თვეა უკვე, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს შეხვედრას პრემიერ-მინისტრთან, თანამშრომლობას მასთან, მისი მთავრობის კორუმპირებული ქმედებების განხილვას და პრემიერ-მინისტრი უარს ამბობს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრაზე. მას რომ ტუჩი აქვს აბზუებული, რა შუაშია აქ ბოკერია და რესპუბლიკელები. ეს არის მისი გამოუცდელობა და მისი არაკომპეტენტურობა.

***— რაც შეეხება ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატს, ხომ არ ჩამოყალიბდით ერთიან კანდიდატზე და ვინ იქნება ის?***

— პირობას გაძლევთ, რომ აუცილებლად იქნება ერთიანი კანდიდატი, იმ კვირაში უკვე გავაკეთებთ ამის თაობაზე განცხადებას.

***— ვინ იქნება, ბურჯანაძე ხომ არა?***

— ჯერჯერობით გვარები და სახელები ძალიან ნაადრევია. ერთს გეტყვით, რომ ნინო ბურჯანაძე ჩვენთან არაფერ შუაშია.

***— ბატონო კახა, კიდევ ერთ თემას მინდა რომ შევეხოთ, გასულ კვირას დიდი ვნებათაღელვა იყო როგორც სტუდენტებში, ისე ნაციონალებში და ეს უნივერსიტეტების ავტონომიას ეხება, თქვენი პოზიცია როგორია ამასთან დაკავშირებით?***

— „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის რექტორების პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშვნას, რამაც ცივი წყალი გადაასხა უნივერსიტეტის გულშემატკივრებს. ნაცვლად საუნივერსიტეტო ავტონომიისა, ხელისუფლებამ შემოგვთავაზა უფრო მეტი დიქტატი. სამწუხაროა, რომ განათლების მინისტრ მარგველაშვილის მიერ წარმოდგენილი ფარისევლური საბაბი, რომ თითქოს არანაირი საკადრო წმენდა არ იგეგმება და უბრალოდ რექტორების აკადემიური ხარისხი იყო პრობლემა, მალევე გაქარწყლდა და ტელეეთერებში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა დაადასტურეს, რომ ამ პროექტის ამოცანა, სწორედაც რომ საკადრო წმენდაა. გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ პრემიერ-მინისტრი მხოლოდ რექტორის მოვალეობის შემსრულებლებს დანიშნავს და არა რექტორებს. სწორედ ასე დანიშნა მოვალეობების შემსრულებლები პრეზიდენტმა სააკაშვილმაც, რომელთაც წარმატებით განახორციელეს საკადრო წმენდა და ამის შემდეგ „არჩეულ იქნენ“ იმავე აკადემიური საბჭოების მიერ უკვე სრულუფლებიან რექტორებად. უნდა დასრულდეს საუბარი იმაზეც, რომ პრინციპულად არასწორი ქმედებები გამართლებულია „ამ ვითარებაში“, როცა ქვეყანას ემუქრება ნაციონალური საფრთხე. სწორედ ამითი ამართლებდა თავის დროზე საუნივერსიტეტო წმენდას მიხეილ სააკაშვილიც, რომ აღმოეფხვრა შევარდნაძის კორუფცია განათლების სისტემაში. ლომაიას „რეფორმებს“ უნდა დავუპირისპიროთ არა შინაარსობრივად იგივე, კლანური პოლიტიკა, არამედ გამჭვირვალე და კანონიერი სისტემა უნივერსიტეტიდან უკანონოდ დათხოვნილი პროფესორ-მასწავლებლების სამუშაოზე აღდგენისა, რასაც სამწუხაროდ მინისტრმა მარგველაშვილმა თავი ვერ გაართვა. აუცილებელია არა პერსონალური ცვლილებები, არამედ სისტემური რეფორმა. რექტორის აკადემიური საბჭოს მიერ არასრულყოფილი არჩევნები კი უნდა შეიცვალოს არა დანიშვნითობით, არამედ უფრო დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნებით.



# ვინ გადაარჩენს სადაზღვევო კომპანიებს?

მერი ნამორაძე

საყოველთაო დაზღვევის პროექტს „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ აკრიტიკებს და სადაზღვევო ბაზრისათვის სერიოზული პრობლემების გაჩენის საშიშროებაზე საუბრობს. ამჯერად ეს საკითხი ნაციონალური მოძრაობის წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა „პრესკლუბში მე-17 სართულზე“ გაახმოვანა. ჭიაბერაშვილი შეშფოთებულია სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის სახელმწიფოს მიერ დაზღვეული მოქალაქეების სადაზღვევო შემთხვევების მართვის გადაცემით, რაც სამომავლოდ სადაზღვევო სექტორს პრობლემებს შეუქმნის.

მისი თქმით, სადაზღვევო კომპანიები სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დადგებიან. თუ გადარჩნენ, სადაზღვევო პაკეტებს გაცილებით ძვირად გაყიდიან, ვიდრე დღეს ყიდიან. შესაბამისად, კერძო დაზღვევის მომსახურების ყიდვას შეძლებს არა დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი, არამედ, გაცილებით ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტს კიდევ უფრო მეტი ადამიანის ხარჯი დააწვება, ვიდრე დღეს გაცხადებული 2,2 მილიონი მოქალაქეა. იგი მიიჩნევს, რომ ორ მილიონზე მეტ ადამიანს ეცოდინება, რომ დაზღვეულია და საკუთარი ჯიბიდან ჯანმრთელობის დაზღვევას აღარ შეიძენს.

— სინამდვილეში, „საყოველთაო ჯანდაცვის“ პროგრამის მონაწილე ადამიანს რაიმე სერიოზული მკურნალობა რომ დასჭირდეს, საკუთარი ჯიბიდან მოუწევს გადახდა, — აღნიშნავს ჭიაბერაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი კერძო სადაზღვევო კომპანიების ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზრიდან გასვლაში კიდევ ერთ საფრთხეს ხედავს. იგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფო, იგივე — სოციალური მომსახურების სააგენტო — მონოპოლიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. იგი უკარნახებს ფასებს სამედიცინო დაწესებულებებს და შეეცდება, მკურნალობის ფასები დაბლა დააწევინოს.

ჭიაბერაშვილი ირწმუნება, რომ ეს გააუარესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, ასევე, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს სამედიცინო დაწესებულებებს, რაც შედეგად მოიტანს სამუშაო ადგილების შემცირებას და სახელფასო განაკვეთების თუ შემცირებას არა, გაყინვას მაინც. ეს ყველაფერი კი პაციენტის ჯიბიდან გადახდილი თანხების ზრდასთან მიგვიყვანს.

ჭიაბერაშვილს თუ დავუჯერებთ, „საყოველთაო დაზღვევის“ პროგრამა უსამართლო სისტემაზე და სახელმწიფოს მიერ ფულის არაეფექტურ ხარჯვაზეა დაფუძნებული.

— ვთქვათ, ორი ადამიანი, ერთი და იმავე სიმპტომით მიდის ექიმთან. ორივე საყოველთაო




ჯანდაცვის პროგრამის მონაწილეა. ერთს ათასი ლარი აქვს შემოსავალი, მეორეს — ასი. კონსულტაციის ხარჯის სახელმწიფოს მიერ დაფარვა შეღავათია ასლარიანი შემოსავლის მქონე პაციენტისთვის, ათასლარიანი შემოსავლის მქონე, ამ საფასურს ისედაც გადაიხდიდა. თუ საბოლოო დიაგნოზის დასასმელად ექიმს სჭირდება, რომ პაციენტმა კომპიუტერული ტომოგრაფია გაიკეთოს, ათასლარიანი შემოსავლის მქონე ამას ახერხებს, ასლარიანი შემოსავლის მქონე — ვერა. მთავრობამ ერთს მისცა ის, რაც მას ისედაც შეეძლო მიეღო და მეორეს ის, რაც მას ნამდვილად არ ჰყოფნის, — განმარტა ჭიაბერაშვილმა.

ჭიაბერაშვილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დასკვნასა და რეკომენდაციებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების საკვანძო ელემენტების გადაბარება კერძო მზღვეველიდან საჯარო ორგანოს — სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, კერძო დაზღვევის ბაზარს მნიშვნელოვნად შეამცირებს. მისიის რეკომენდაციაა, კერძო სადაზღვევო სისტემა უნდა შენარჩუნდეს, ხოლო პროცედურები და მათ მიმართ მოთხოვნები უნდა გაძლიერდეს. საეჭვოა, ჯანდაცვის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ძველის შეგონება გაითვალისწინოს, რადგან ჯერჯერობით რეალურად სამედიცინო დახმარებას მონატრებულმა დაუზღვეველმა მოქალაქეებმა სამედიცინო დახმარების მიღება შეძლეს და მათ სადაზღვევო კომპანიების ბედი ნაკლებად ადარდებთ. მოსახლეობის მასშტაბური უკმაყოფილება მაშინ გახდება თვალშისაცემი, თუ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა პარალელურად მომსახურების მაღალი ხარისხის მიწოდებას ვერ შეძლებს. იმედია, საქმე აქამდე არ მივა და ხელმისაწვდომობასა თუ ხარისხზე სახელმწიფო თანაბრად იფიქრებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვის დაპატიმრებას აპირებდნენ ნაციონალები

## შსს-მ საიდუმლო სამალავი აღმოაჩინა

შორენა მარსაგიშვილი

მთელი წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე გვესმოდა, რომ ნაციონალები სამეგრელოში პოზიციებს იმყარებდნენ. საუბარი იყო შეიარაღებული ხალხის მობილიზაციაზეც. ამის შესახებ შარშან სკანდალური განცხადება ირაკლი ალასანიამაც გააკეთა. მან სამეგრელოში არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს მიაწოდა. მის ბრალდებებს ნაციონალებმა სისულელე უწოდეს და ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრი ლამის სამშობლოს ღალატში დაადანაშაულეს.

სამეგრელოს თემა კიდევ ბევრმა ახსენა. ამბობდნენ, რომ იქ ახალაიებს სერიოზული პლაცდარმი ჰქონდათ მოწყობილი. არჩევნების შემდეგ ხალხს ეს თემა ნელ-ნელა მიავიწყდა. და შესაძლოა არც არავის გახსენებოდა, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ არ გაევრცელებინა სკანდალური ინფორმაცია. საერთოდ შს სამინისტრო ბოლო ხანებში აშკარად კარგად მუშაობს. და თუ ასე გააგრძელეს წინ ბევრი სკანდალი გველოდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, სამეგრელოში სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტომ აღმოაჩინა სამალავი, სადაც განთავსებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებები, ცეცხლსასროლი იარაღები, ნარკოტიკული საშუალებები და წინა ხელისუფლების ოპონენტების მაკომპრომატებელი მასალები.

— სამეგრელოში აღმოჩენილია ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით მიწისქვეშ შენილბულად მოწყობილი, კამუფლიაჟით დაფარული სამალავები, რომლებშიც ნაპოვნია ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების, მათ შორის დივერსიული საქმიანობის საწარმოებლად საჭირო დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხელყუმბარები, ავტომატები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, სამხედრო ამუნიცია, აგრეთვე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები, კერძოდ, ჰეროინი, კოკაინი, ოპიუმი, სუბოტექსი და სხვა. ჩხრეკისას ამოღებულია წინა ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პირების ფოტოებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი, რომელთა დაპატიმრებაც იგეგმებოდა სხვადასხვა გაყალბებული და ფალსიფიცირებული ბრალდებებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში, — განაცხადა შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა.




გიორგობიანის ინფორმაციით, სამალავში საბრძოლო მასალის გარდა აღმოჩენილია სხვადასხვა პირთა ცემის, წამების, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სექსუალური ძალადობის ამსახველი ვიდეომასალა.

— აღნიშნული სამალავის დროულად აღმოჩენისა და განეიტრალებით აცილებული იქნა ქვეყნისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, — აცხადებს გიორგობიანი.

შსს გვპირდება, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ დამატებით ინფორმაციას მოგვიანებით გაავრცელებს. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ვინმეს ბრალდებისა და დაკავების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში, რომელზეც, მათივე მტკიცებით, ყოფილი ხელისუფლების მიერ მოწყობილ სამალავში აღმოჩენილი საბრძოლო მასალებია აღბეჭდილი, ჩანს საქაღალდე, რომელსაც აწერია „დასაჭერები“, რომლის გვერდით გადაღებულია ხელნაწერი ფურცელი წარწერით „მოსწავლე მეგის სერგოს ძე ქარდავას შინაგანაწესი“.

შსს-ს ცნობით, სამალავში აღმოჩენილია ხელნაწერი მასალებიც, რომელიც, მათივე მტკიცებით, შესაძლებელს გახდის დამნაშავე პირთა სწრაფ იდენტიფიცირებას.

შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერის ერთ კადრში ჩანს საქაღალდე წარწერით „დასაჭერები“, შემდეგ კადრში კი ხელნაწერი დოკუმენტი, რომელსაც აწერია: „მეგის სერგოს ძე ქარდავას შინაგანაწესი“. ხელნაწერი დოკუმენტი 1987 წლით თარიღდება და იქ სკოლის



მოსწავლე მეგის ქარდავას დღის განრიგია აღწერილი:

— 1. დღეში 4-ჯერ კვება მშობლების მითითების მიხედვით; 2. დილის 8 საათზე სკოლისთვის მომზადება; 3. სკოლაში გაკვეთილებზე ყურადღებით მოსმენა, შესვენების ნორმალურად გამოყენება ამხანაგებთან თამაშში მონაწილეობის გარეშე; 4. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ფრთხილად სახლში წასვლა; 5. სკოლაში დაბრუნების შემდეგ 1 საათი შესვენება, მერე სხვადასხვა სათამაშოებით გართობა 1 საათს. ფეხბურთის თამაში ოთახში აკრძალულია, ამისთვის გამოიყენება ეზო. — ვკითხულობთ მეგის ქარდავას დღის წერიგში.

კითხვაზე, თუ რა კავშირი აქვს მოსწავლე მეგის ქრდავას შინაგანაწესს აღმოჩენილ საბრძოლო მასალასთან და მიუთითებს თუ არა ეს მეგის ქარდავას კავშირზე აღმოჩენილ სამალავთან, შსს-ში აცხადებენ, რომ დამატებით დეტალებს გამოძიების მიმდინარეობაზე მოგვიანებით გაავრცელებენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი პოლიტიკური ალიაქოთი მოჰყვა. ნაციონალებმა თავიანთ ოფისში საგანგებო პრესკონფერენციაც გამართეს და შსს-ს უნდობლობა გამოუცხადეს.

დეპუტატ გიორგი ვაშაძის განცხადებით, შსს-ს მოქმედებების სანდოობა ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დგას.

— საერთოდ ძალიან საინტერესოა, რითია შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებული. რამდენიმე დღის წინ დააანონსეს, რომ ტერორისტები დააკავეს, მიიყვანეს სასამართლოში და ტერორიზმის მუხლი იქ არ არის მათ წინააღმდეგ გამოყენებული, იქ არის იარაღის უკანონო შენახვა. ახლა კიდევ რაღაც დაგვიანონსეს, ვნახავთ, რა გაირკვევა. ჩემი აზრით, შსს-ს მოქმედებების სანდოობა ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დგას. კასრში შენახული დასაჭერი ადამიანების სია? და კასრში რატომ შეინახეს და არა, ვთქვათ, ბოთლში? — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

შსს-ს წარმოდგენილ მასალებს უნდობლობას უცხადებს დეპუტატი გიგი წერეთელიც. დეპუტატის თქმით, მისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება დამაკმაყოფილებელი არ არის და ალბათ, ეს ვილაცისთვის ბრალის დამძიმების მცდელობაა. წერეთელი ეჭვობს, რომ ეს ყველაფერი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გადაფარვას ემსახურება.

— ეს არის ხელისუფლების მორიგი უსუსური მცდელობა, ახალი დაკავების ან ვილაცისთვის ბრალის დამძიმების. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი. ეს, ალბათ, ხელისუფლების მორიგი უსუსური მცდელობაა ახალი დაკავების ან ვილაცისთვის ბრალის დამძიმების. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. მით უფრო, რომ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და თავის განწყობა ცოტა მაინც უნდა დამალონ, წინა პლანზე არ უნდა წამოწიოს ოპონენტების განადგურების კიდევ ერთი გამოხატულება, — აცხადებს გიგი წერეთელი.

სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თენგიზ გუნავას აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მიერ გავრცელებულ მასალას ფარულ სამალავებთან დაკავშირებით ხალხი არ დაიჯერებს.

— მსგავსი ზღაპრები ბავშვებს რომ მოუყვნენ, ალბათ, ვერც დაიძინებენ, რადგან უკვე მარაზმია, რაზეც მიდიან. არ ვიცი, თავად თუ სჯერათ. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებდნენ, რომ თითქოს ტერორისტები დააკავეს და შემდეგ ისინი ტერორისტები არ გამოდგნენ, იმასაც ამბობდნენ, რომ „თალიბანის“ სახელით გავრცელებული კლიპი საქართველოშია ატვირთული და ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერი ჩანს. რაღაცებს ეძებენ, რომ თემები გადაფარონ და ეს უბრალოდ, მათი დღევანდელი პოლიციის სტილია, რომელიც ძალიან ცუდია, რადგან ამას ხალხი ბუნებრივია, არ დაიჯერებს, — განაცხადა თენგიზ გუნავამ.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით მეოცნებეებს სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვთ. ისინი თავიანთ შსს-ს ენდობიან და ვარაუდობენ, რომ ასეთი სამალავები საქართველოში სხვაც ბევრი იქნება.

უმრავლესობის დეპუტატ გია ვოლსკის თქმით, შსს-ს მიერ გავრცელებული მასალები სამეგრელოში ფარული სამალავების აღმოჩენასთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის ხელწერას ჰგავს.

— სამწუხაროდ, აქტუალური თემების ჩამონათვალს დაემატა ერთ-ერთი არასასიამოვნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აღმოჩენილია სამალავები. გამოძიება მიმდინარეობს. მე პოლიტიკური შეფასებისაგან თავს შევიკავებ, სანამ გამოძიება რაღაც კონკრეტულ დეტალებზე არ დაკონკრეტდება, მაგრამ მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ იყო ასეთი ინფორმაცია ადრეც, არჩევნების წინაც იყო ამაზე საუბარი. საერთოდ, ნაციონალური მოძრაობის ხელწერას ეს ჰგავს... გავლენა ადამიანებზე, არაკონსტიტუციური მეთოდების გამოყენება — ეს სამწუხარო ფაქტები გვქონდა, ასე რომ, ახალი ამაში არაფერია. უბრალოდ, ერთი ფაქტი კიდევ დაემატა იმას, რაც ბევრი იყო, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ზვიად ძიძიგურის აზრით, სამალავებში შსს-ს მიერ აღმოჩენილი ფაქტობრივი მასალების სიმრავლიდან გამომდინარე, დამნაშავეების იდენტიფიცირება რთული არ იქნება.

ძიძიგურის განცხადებით, შსს-ს მიერ აღმოჩენილი მტკიცებულებები ადასტურებენ იმას, 1 ოქტომბრის არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით რომ არ დასრულებულიყო, საქართველოს ყველა რეგიონში რეპრესიები იყო მოსალოდნელი.

— სამეგრელოში რაც იქნა აღმოჩენილი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ მხოლოდ ამ რეგიონში ხდებოდა. მთელ საქართველოში ვიცოდით, რომ ამზადებდნენ ბრალდებებს ყველა ოპოზიციურად განწყობილი მეტ-ნაკლებად გავლენის მქონე ადამიანების მიმართ. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩვენ ძალიან მწარე გაკვეთილები გვაქვს იმისთვის, რომ ვიცოდეთ, კარგი ქვეყანა როგორ მოვაწყოთ. ეს ყველაფერი გამოგვადგება იმისთვის, რომ ასეთი ტიპის ნაბიჯებს ხელისუფლება არასდროს გადადგამს. ეს ჭკუის სასწავლებლად კარგია ყოფილი ხელისუფლებაში მყოფი იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც პასუხს აუცილებლად აგებენ და ძალიან კარგია ახალი ხელისუფლებისთვის, რომელმაც უნდა იცოდეს, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებები ქვეყანაში გადამწყვეტი უნდა იყოს. აღმოჩენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, დამნაშავე პერსონების იდენტიფიცირება რთული არ იქნება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზვიად ძიძიგურმა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მრჩევლის, გია ხუხაშვილის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავების მსგავსი კიდევ იყოს. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ხუხაშვილმა განაცხადა, ადრეც სავარაუდო იყო, რომ ასეთი ტიპის საწყობები არსებობდა და არა მხოლოდ სამეგრელოში.

— ყოფილი ხელისუფლება, ფაქტობრივად, არაფორმალურ ტერორს უწყობდა ხელს, მათ შორის, პოლიტიკურ დევნას და ბუნებრივია, ეს ყველაფერი კანონის მიღმა იყო. იარაღის სამარხი ზუსტად ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლება კანონის ფარგლებში არ მოქმედებდა და საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი ტიპის ქმედებისთვის მზად იყო. სამწუხაროდ, შესაძლებელია, რომ ასეთი ტიპის იარაღის სამალავები კიდევ აღმოჩნდეს, — განაცხადა ხუხაშვილმა.

სამეგრელოში სამალავის აღმოჩენას ქვეყნის ვიცე-პრემიერი კახა კალაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, ის შანტაჟი და თვალთვალი, რაც გასული 9 წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდებოდა, არასდროს განმეორდება“.

— თავად ფაქტს რაც შეეხება, ძალიან ცუდია. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებამ ყველაფერი იცის, თუ როგორ ებრძოდა „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“, მის მომხრეებსა და ჩვენი ოჯახის წევრებს. ფაქტობრივად, წინასაარჩევნოდ ჩვენი მომხრეების თვალთვალი, შანტაჟი, დაშინება, ცემა ყოველდღიურ რეჟიმში მიდიოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ბრძოლა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ დასრულდა. მე მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ეს ყველაფერი აღარასდროს განმეორდება, — განაცხადა კახა კალაძემ.

,,დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია დარწმუნებულია, რომ სამეგრელოში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღმოჩენილი სამალავების მსგავსი კიდევ ბევრი არსებობს.

როგორც ,,მედიანიუსს“ კახა მიქაია განუცხადა, მას შს სამინისტროს მიერ გავრცელე-




ბული კადრების რეალურობაში ეჭვი არ ეპარება.

— ეჭვი არ მეპარება, რომ ეს კადრები არის რეალური. იარაღი და სხვა, რაც ამოიღეს, რეალურია. ეს ახალაიების და სააკაშვილის გაკეთებულია. მათ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ხელისუფლებაში ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნდებოდნენ. სააკაშვილს ჰყავდა ტერორისტული ორგანიზაცია ნაციონალური მოძრაობის სახით და მე ამას ვეძახი ,,ქართულ ალქაიდას, — განაცხადა კახა მიქაიამ.

მისი აზრით, ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნებიდან ახლო პერიოდში ამ ყველაფრის განადგურება ვერ მოახერხა.

მიქაიას უჭირს დაკონკრეტება, თუ ვის შეეძლო მიეწოდებინა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სამალავების არსებობისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა მიიჩნევს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ახალაიებთან დაკავშირებულ პირებს ექნებოდათ. კახა მიქაია აღნიშნული სამალავების აღმოჩენას წარმატებულ ოპერაციად აფასებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ნაციონალები შსს-ს არ ენდობიან. ამტკიცებენ, რომ ეს სამალავიც რაღაც პროცესების გადასაფარად აღმოაჩინეს. შსს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის გავრცელებას ახლო მომავალში აპირებს.

მოსახლეობას განსაკუთრებით დასაჭერი ხალხის სია აინტერესებს. ამ სიების შესახებ ინფორმაციები ჯერ კიდევ არჩევნების წინ ვრცელდებოდა.

# ვანო მერაბიშვილმა ტელევიზორის მოთხოვნით შიმშილობა დაიწყო

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, დამატებითი ყურადღება მიიპყრო, თორემ ვანო სულ ყურადღების ცენტრშია.



ჩვენმა მოსახლეობამ იცის, რომ ქვეყნის ყოფილი ხერხემალი ტელევიზორს ითხოვს. სოზარ სუბარის გულქვა უწყება კი მას ამ სურვილს არ უსრულებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც მომავალში შეასრულებენ მის მოთხოვნას. ამიტომაც ვანო მერაბიშვილმა გადაწყვიტა გადამწყვეტ ზომებს მიმართოს.

მრავლისმნახველმა საქართველომ გუშინ შეიტყო, რომ ტელევიზორის მოთხოვნით ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა შიმშილობა დაიწყო.

როგორც სააგენტო „პირველს“ მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განუცხადა, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა შიმშილობა 2 მიზეზის გამო დაიწყო.

— პირველი მიზეზი არის ის, რომ ამ დრომდე მერაბიშვილი უშედეგოდ ითხოვს საკანში ტელევიზორის დადგმას, რისი უფლებამ მას კანონით აქვს და ვალდებულები არიან, მას ტელევიზორი დაუდგან. მეორე მიზეზი კი არის ის, რომ მერაბიშვილმა ციხის ადმინისტრაციას მიმართა, რომ მისი ოჯახის წევრებზე გააკეთონ მინდობილობა, რათა მათ სახელფასო ბარათზე არსებული დეკლარირებული თანხებით სარგებლობის უფლება ჰქონდეთ. პასუხის მისთვის არც ამაზე გაუციათ, — განაცხადა ჩივიაშვილმა.

მერაბიშვილის შიმშილობის გამო ალბათ ევროპა და აშშ აღშფოთდებიან. ამერიკის კონგრესმა მისი დაკავების გამო უკვე გამოთქვა მწუხარება და შეშფოთება. საინტერესოა სად იყო ეს ხალხი, როცა ნაციონალები და მერაბიშვილი პოლიტიკურ ოპონენტებს, მათ შორის ყოფილ მაღალჩინოსნებსაცაპატიმრებდნენ.

# ზაზა ხატიაშვილი: „ოცნება ასლან აბაშიძის პერიოდში დაბრუნდა“

შორენა გონგლაძე

ახალი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება ნაციონალების მხრიდან გასაგები და ბუნებრივიცაა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულ ხელისუფლებას რომ ადვოკატთა ასოციაცია დაუპირისპირდება, ეს უკვე ცუდის ნიშანია. ნებისმიერ ქვეყანაში სამართლიანობის ხარისხის ინდიკატორი სწორედ ადვოკატთა ორგანიზაციებია და ამ შემთხვევაში არც საქართველოა გამონაკლისი. ხელისუფლებაში მოსვლიდან მისი მხარდამჭერი რომ უკვე მოწინააღმდეგე ხდება, ეს ხელისუფლების უუნარობასა და საზოგადოების კიდევ ერთ საბედისწერო შეცდომაზე მეტყველებს, რაც წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე ალბათ ცხრა წელი კიდევ გაგრძელდება. ადვოკატებმა ბოლოს საპროტესტო აქცია ორი კვირის წინ ქუთაისში, პარლამენტთან გამართეს, სადაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი გააპროტესტეს, რომელიც, ადვოკატების თქმით, დაცვისა და ბრალდების მხარის თანასწორობის პრინციპს არღვევს.

რა თქმა უნდა, ადვოკატების პროტესტმა შედეგი არ გამოიღო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი საქართველოს პარლამენტის „მეოცნებე უმრავლესობას“ ღია წერილით მიმართავს.

– პატივცემულო პარლამენტარებო, პარასკევის პარლამენტის სხდომას ვუყურებდი და გამიჩნდა სურვილი, საკანონმდებლო ინიციატივით მოგმართოთ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შემადგენლობაში 4000 ადვოკატი შედის, მართლაც შთამბეჭდავი ციფრია. დღეს მოქმედი კანონით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ირჩევს ადვოკატთა საერთო კრება. კრების მოწვევა და საარჩევნო კამპანია ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაც მძიმე ტვირთად აწვება ადვოკატთა ასოციაციას. მე იმდენად მომეწონა თქვენ მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი განათლების კანონში, რომ გამოვდივარ ინიციატივით, ადვოკატთა შესახებ კანონში შევიდეს ცვლილება და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს. ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, დავზოგავთ ხარჯებს, სამართლიანობას ალვადგენთ და რაც მთავარია, აღნიშნული ცვლილება ნამდვილად დაგვაბრუნებს არცთუ შორეულ წარსულში, რომლისკენაც სწრაფი ნაბიჯებით მივდივართ და რომელსაც ასლან აბაშიძის მმართველობის ეპოქა ჰქვია. ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ დაირქვით „ქართული ოცნება“ და სინამდვილეში რა იყო თქვენი ქართული ოცნება? როდესაც პარლამენტში მეორე მოსმენით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები იხილებოდა და სამოქალაქო საზოგადოების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეთ, ვიფიქრე, იქნებ შეეშალათ და პარლამენტის თავმჯდომარეს ღია წერილით მივმართე, სადაც ვთხოვე, არ დაეშვა საქართველოს ფეოდალიზმის ერაში დაბრუნება. შემდეგ, თქვენს მამა-მარჩენალს – ბატონ ბიძინასაც მივმართე, მაგრამ პასუხის გაცემა არ იკადრეს. ასე მალე თუ გაგიტკბებოდათ სკამები, ვერ წარმოვიდგენდი. პატივცემულო პარლამენტარებო, ვაფასებ თქვენს შემართებას, ადვოკატებისთვის არ მიგეცათ ინფორმაციის გამოთხოვის უფლება და მოქალაქეები დაგეტოვებინათ დაცვის გარეშე. ასევე, მინდა, შეგახსენოთ თქვენი ძირითადი საარჩევნო დაპირება – „სამართლიანი სასამართლო“. როდესაც ივანიშვილი და პარლამენტი სამართლიან სასამართლოზე საუბრობს, თქვენი კომენტარების შემდეგ მიჩნდება აზრი, რომ 99%-ს წარმოდგენა არ აქვს, რა არის სამართლიანი სასამართლო. თქვენ სამართლიანი სასამართლო გგონიათ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის ხელახალი დაკომპლექტება, რაც თავისთავად საოცარი ფაქტია. მინდა, მოგახსენოთ, რომ დღეს სამოქალაქო საზოგადოება საკმაოდ გათვითცნობიერებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპებში, ამიტომ ვეღარ მოატყუებთ. მეოცნებე უმრავლესობავ, თქვენს გასაგონად ვიტყვი, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპები გაწერილია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში „სამართლიანი სასამართლოს უფლება“. რაც გულისხმობს, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ ეკუთვნის ხალხს და ხელისუფლება და პარლამენტი ვალდებულია უზრუნველყოს „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ ხალხისთვის. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, „სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ვინც არ იცით, რა არის მხარეთა თანასწორობა, გეტყვით, რომ ეს არის პროკურორების და ადვოკატების თანასწორუფლებიანობა. პარასკევს, პარლამენტის სხდომაზე, თქვენ მხარი დაუჭირეთ ადვოკატის უფლებების შეზღუდვას და პროკურორის უფლებების გაზრდას, მაგრამ ხვალ თქვენ კიდევ გეყოფათ სინდისი და ისაუბრებთ სამართლიან სასამართლოზე, „თქვენ ხომ პოლიტიკოსები ბრძანდებით და პოლიტიკოსები არასოდეს ამბობენ სიმართლეს“.

სამოქალაქო საზოგადოების გასაგონად მინდა, ვთქვა, რომ წინასწარი გამოძიების დროს ადვოკატს არ აქვს არანაირი მექანიზმი, მოქალაქე დაიცვას. ადვოკატს არ აქვს უფლება, მიმართოს სახელმწიფო უწყებას, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. მაშინ, როდესაც პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერი საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია. ასევე, ადვოკატი ვერ მიმართავს სასამართლოს ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნით იმიტომ, რომ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით სასამართლო ადვოკატის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. 30 მაისს ადვოკატებმა გადავწყვიტეთ უპრეცედენტო შიმშილობის აქციის დაწყება, პარლამენტის წინ დავიდეთ ბორკილები და ვითხოვდით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაუქმებას, რომლის თანახმად, ჩვენ უფლება არ გვაქვს, სასამართლოს მივმართოთ შუამდგომლობით ამოღების და ჩხრეკის თაობაზე. აქცია დავიწყეთ 11:00 საათზე, შევქმენით საგაფიცვო კომიტეტი, შევარჩიეთ მოშიმშილე ადვოკატები, დღეების მიხედვით. პარლამენტმა რომ დაინახა, ადვოკატების პროტესტი იყო საკმაოდ მწვავე, მაშინვე გააკეთა განცხადებები, რომ „ქართული ოცნება“ არ ჰგავდა სააკაშვილის პარლამენტს და არ იყო ჯიუტი პარლამენტი. ამიტომ, არ დასძლევდნენ ვეტოს და შეცდომას გამოასწორებდნენ. ადვოკატებთან შესახვედრად გამოვიდნენ დეპუტატები და გვთხოვეს, მიგვეცა მათთვის საშუალება, რათა შეცდომა გამოესწორებინათ. მე პირადად შევხვდი ოცამდე პარლამენტის წევრს უმრავლესობიდან, რომლებმაც შეცდომა აღიარეს და პირობა დადეს, რომ ყველაფერს გამოასწორებდნენ. ვინაიდან სატელევიზიო ეთერში გაისმა პარლამენტარების დაპირება, ადვოკატებმა გადავწყვიტეთ, მმართველი საპარლამენტო კოალიციისათვის კიდევ ერთი შანსი მიგვეცა. მე, ზაზა ხატიაშვილი დავთანხმდი პარლამენტარების თხოვნას და შევწყვიტე შიმშილობა, რათა საკომიტეტო მოსმენებში მიმეღო მონაწილეობა. 11 ივნისს, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების თაობაზე დებატებს 10 ადვოკატთან ერთად დავესწარი. ის შალვა შავგულიძეს მიჰყავდა. ბატონი შალვა, სანამ პარლამენტარი გახდებოდა, ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრი ბრძანდებოდა, რომელმაც ორი წლის წინ პირადად მოამზადა და მხარი დაუჭირა პარლამენტში წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებს, მაგრამ ორი წლის შემდეგ, უკვე პარლამენტარის რანგში ეწინააღმდეგება იმას, რაც, როგორც აღვნიშნე, თვითონ მოამზადა. სხდომის დროს, ბატონ შალვას გავახსენე სისხლის სამართლის კომიტეტის ერთ-ერთი სხდომა, როდესც ჩვენ ყველა ადვოკატ ლევან სამუშიას მიერ წარმოდგენილ საქმეს ვიხილავდით. კერძოდ, ოთხი წლის წინ, ადვოკატი ლევან სამუშია იცავდა პიროვნებას, რომელსაც ყაჩაღობაში ედებოდა ბრალი. ვინაიდან ბრალდებული ამტკიცებდა, რომ როდესაც ყაჩაღობა მოხდა, იგი თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა, ადვოკატმა ლევან სამუშიამ კომპანია „ჯეოსელისგან“ ინფორმაცია მოითხოვა, თუ სად იმყოფებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ყაჩაღობის ჩადენის დროს, მაგრამ მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ადვოკატს უპასუხა, რომ „ეს არის ამოღება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თქვენ უფლება არა გაქვთ, მიმართოთ სასამართლოს ამოღების თაობაზე შუამდგომლობითო“, ბატონმა შალვამ დამიდასტურა, რომ კარგად ახსოვს ეს ფაქტი. მე მაქვს კითხვა ბატონ შალვასთან, თუ ორი წლის წინ შალვა შავგულიძე პირადად ითხოვდა ცვლილებას საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში, ორი წლის შემდეგ რა შეიცვალა? როდესაც მე პარლამენტიდან გამოვედი, გაოგნებული და შეშფოთებული ვიყავი. ვერანაირად ვერ გამიგია შვიდი თვის მანძილზე რა მოუვიდა ამ ხალხს ისეთი, ასე როგორ შეიცვალნენ. ბოლოს, მივდივარ იმ მოსაზრებამდე, რომ ალბათ, ასეთები იყვნენ, უბრალოდ ნიღაბი ჩამოიხსნეს. სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსულო პარლამენტარებო, დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ზუსტად იგივე მდგომარეობაა, როგორიც მერაბიშვილის დროს იყო. ჩემი შეხედულებით, პოლიციის ძალადობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციით ამოქმედებას უნდა დაებალანსებინა, რათა დაცვას მისცემოდა უფლება, მიემართა სასამართლოსთვის შუამდგომლობით ჩხრეკისა და ამოღების თაობაზე. რადგან თუ დაცვას ეს უფლება ექნება, შეძლებდა პოლიციის დაწესებულებებში არსებული ძალადობის შეჩერებას. მინდა, შეგახსენოთ ხელისუფლებაში თქვენი მოსვლის შემდეგ, პოლიციელების მიერ ჩადენილი რამდენიმე საგმირო საქმის შესახებ.



სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გვყავს გარდაცვლილი პატიმარი, რომელიც თავდაპირველი ვერსიის თანახმად კიბეზე დაგორდა, შემდეგ ეს ვერსია შეიცვალა, მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით ჩაფარცხეს. საზოგადოებისთვის ცნობილი ფაქტია, 26 მაისს დაახლოებით 22:00 საათზე შსს-ს კრიმინალური პოლიციის მე-4 სამმართველოს უფროსმა დავით გელაძემ 18 წლის გიგი სვანი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა, რომელსაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში ერთი ოპერაცია ჩაუტარდა და უახლოეს დღეებში მეორე ოპერაციას საჭიროებს. დაზარალებულის ბებიის განცხადებით, შსს კვალის დაფარვას ცდილობს, მათ შორის საავადმყოფოში. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ხელისუფლებას ვაფრთხილებდი, რომ პოლიციის ჩინოვნიკების ზღვარგადასული სისასტიკე აღეკვეთათ. ვინაიდან პოლიცია ჩვენი მოქალაქეების ქუჩაში ხოცვას დაიწყებდა, მაგრამ არავინ დამიჯერა და აი, პირველი შედეგიც. 18 წლის ახალგაზრდა გიგი სვანი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ იგი შეიძლება, დაინვალიდდეს, არადა, ვინმეს რომ მოესმინა ჩემთვის და დაეკავებინათ ძმებ ლაშა და გიორგი სოზაშვილებზე თავდასხმაში მონაწილე პოლიციელები, სხვები მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმას ვეღარ გაბედავდნენ.

მოგიყვებით ერთ ფაქტს, რომელიც პირადად მოვუყევი შინაგან საქმეთა მინისტრს ამა წლის იანვარში გამართულ შეხვედრაზე, ევროკავშირისა და გაერო-ს ელჩის თანდასწრებით. ასევე, შევხვდი მთავარ პროკურორს და გაყალბებული საქმის მასალები ვაჩვენე. ასევე, პირადად გადავეცი სახალხო დამცველს გაყალბებული მტკიცებულებები. მეგონა ვინმეს აინტერესებდა მოქალაქეთა ბედი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ – არავის. ოთხი თვე ვცდილობდი დავხმარებოდი უდანაშაულო ახალგაზრდებს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გადავწყვიტე, სამოქალაქო საზოგადოება საქმის კურსში ჩამეყენებინა. ვინაიდან, თუ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუვიდა დაუსჯელობის ერთი ფაქტი მაინც, მთელი სამოქალაქო საზოგადოება ვხდებით დაუცველები. ძმები სოზაშვილების ჩვენებით, 2012 წლის 2 დეკემბერს, 02:50 საათზე, თბილისში, თრიალეთისა და კალაუბნის ქუჩებზე, ძმებ გიორგი და ლაშა სოზაშვილებს თავს დაესხა ორი პოლიციის ინსპექტორ-გამომძიებელი იოსებ სახლთხუციშვილი და იოსებ ბაიაძე და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ნაცვლად იმისა, რომ პოლიციას ბოდიში მოეხადა და იქაურობას გაცლოდა, დამხმარე ძალა გამოიძახეს და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ლაშა და გიორგი სოზაშვილები დააკავეს. პოლიციელები თავის ჩვენებაში განმარტავენ, რომ ისინი სამსახურებრივი ფორმით იყვნენ და პირიქით, ლაშა და გიორგი სოზაშვილებმა შეურაცხყოფა მათ მიაყენეს. როგორც ლაშა და გიორგი სოზაშვილების ჩვენებებიდან იკვეთება, მათ თავს ორი პიროვნება დაესხა, რომლებსაც პოლიციის ფორმა არ ეცვათ. პროკურორი ვალდებული იყო, ვიდეო-გადაღების ამსახველი კადრები მოეთხოვა. თუ ეს კადრები არ იყო იმ ადგილზე, სადაც პოლიციელების მხრიდან სავარაუდო კანონდარღვევა მოხდა, მაშინ, როგორც საქმის მასალებით იკვეთება, პოლიციის განყოფილებაში ძმები ლაშა და გიორგი სოზაშვილები, იოსებ სახლთხუციშვილის და იოსებ ბაიაძის მიერ იქნენ მიყვანილი. ყველა პოლიციის წინ სათვალთვალო კამერებია დამონტაჟებული, რომლებიც აუცილებლად დააფიქსირებდნენ, პოლიციელებს ეცვათ თუ არა ფორმა. ადვოკატს უფლება რომ ჰქონოდა, სასამართლოს ძალით მოეთხოვა ვიდეო-ფირის ამოღება, მაშინ გაირკვეოდა, რომ პროკურორმა დანაშაული დამალა და ამით დანაშაული თვითონ ჩაიდინა. თუ ადვოკატი გაარკვევდა, რომ პოლიციელები და მათ საშველად მისული სხვა პოლიციელები ტყუიან, პროკურორი ვალდებული იქნებოდა, ისინი ცრუ ჩვენების გამო პასუხისგებაში მიეცა.

ფაქტობრივად, პოლიციის მხრიდან მტკიცებულების განადგურების მცდელობა ყველა საქმეში იკვეთება.

საია-ს წევრზე თავდასხმის დროს, პოლიციის ჩინოვნიკი ცდილობდა ვიდეო-ფირის განადგურებას, ძმები სოზაშვილების შემთხვევაში პოლიციიდან გააქრეს ვიდეო-მტკიცებულებები, გიგი სვანის შემთხვევაში მტკიცებულებების გაქრობის მცდელობას აქვს ადგილი და ა.შ. პატივცემულო მეოცნებე უმრავლესობავ, სწორედ ამიტომ არ მოგვეცით ადვოკატებს საშუალება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, დაცვას მისცემოდა უფლება, მიემართა სასამართლოსთვის შუამდგომლობით ჩხრეკისა და ამოღების თაობაზე, მაშინ ვეღარ დაიჭერდით სოზაშვილებს, ვეღარ გაბედავდით მტკიცებულებების გაყალბებას და სამოქალაქო საზოგადოება იქნებოდა დაცული. ახალა კი მივხვდი, რატომ დაირქვით „ქართული ოცნება“.

საპარლამენტო უმრავლესობას მინდა, მოგილოცოთ საქართველოს ასლან აბაშიძის პერიოდში დაბრუნება, პარლამენტი სავსეა ასლან აბაშიძის პარტიის, თუ მისი მხარდამჭერი სახეებით. როგორც ჩანს, მათ იმდენად მოენატრათ ფეოდალიზმი, რომ გადაწყვიტეთ, ხორცი შეასხათ მათ ოცნებებს. თუ ცხოვრებას ასეთი შემართებით გააგრძელებთ, მალე გეყოლებათ თქვენი თენგიზ ასანიძეები, რაც ჩემი და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ქართული ოცნება ნამდვილად არ ყოფილა. და ბოლს მინდა, გირჩიოთ, განათლების კანონში შესატანი ცვლილება ერთი კვირით შეაჩეროთ და დაამატოთ ცვლილებათა პაკეტი, სჯობს სკოლის დირექტორები

დანიშვნის უფლებაც პრემიერ-მინისტრს მივანდოთ, ეს სამართლიანობის უპრეცედენტო აღდგენა იქნება – ნათქვამია განცხადებაში.

# კოლეჯში ჩაბარებას გამოცდები არ სჭირდება?

მერი ნამორაძე

პროფესიული განათლების პროფკავშირი „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონპროექტით უკმაყოფილოა. პროფესიული განათლების პროფკავშირის თავმჯდომარემ დენის დავითაშვილმა კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს განცხადებით უკვე მიმართა და იმ კონკრეტულ ხარვეზებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც, მისი მოსაზრებით, კანონპროექტს – „პროფესიული განათლების შესახებ ცვლილებების თაობაზე“ გააჩნია.

დენის დავითაშვილის განცხადებით, ნაჩქარევი და ფინანსურად გაუთვლელია ის ცვლილება, რომელიც წელს სექტემბრიდან პროფესიულ კოლეჯებში ერთიანი ეროვნული პროფესიული გამოცდების შემოღებას შეეხება.

„კანონპროექტის ავტორების განმარტებით, რომელიც საკომიტეტო მოსმენის დროს გაჟღერდა, შემოღებული იქნება მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია, შემდეგ კი ყველა მსურველს გამოცდების ჩაბარებისთვის თავისივე ხარჯებით თბილისში ჩამოსვლა მოუწევს და მიუხედავად იმისა, ჩააბარებენ თუ არა გამოცდას (ტესტებს), პროფესიულ კოლეჯებში შერჩეული სპეციალობის მიხედვით მაინც ყველა ჩაირიცხება. გამოცდები არ ტარდება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში და, საერთოდ, გაუგებარია მისი დანიშნულება და აუცილებლობა. ასევე გაუგებრობას იწვევს ის მუხლი, რომელიც პროფესიული კოლეჯების დაფინანსების ახალ მოდელს შეეხება, ვინაიდან კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას მომავალში დააფინანსოს არა მარტო საბიუჯეტო კოლეჯები, არამედ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კერძო კოლეჯები და ყველა ის უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ. გასაკვირია, საიდან უნდა დააფინანსოს სამინისტრომ გაზრდილი ვალდებულებები პროფესიული განათლების საჭიროებისთვის“, – განაცხადა დავითაშვილმა.

დენის დავითაშვილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს თხოვნით მიმართავს, პირადად შეხვდეს პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებს და მათთან ერთად შეჯერდეს კანონპროექტით გათვალისწინებული ხსენებული და ის მუხლიც, რომლითაც ავტორიზაციის ახალი ვადის განსაზღვრაა გათვალისწინებული.

– ეს ვადა 2015 წლის 1 სექტემბრამდე უნდა დაწესდეს და ამ ნორმის მოქმედება, გარდა არსებული სახელმწიფო და კერძო კოლეჯებისა, ასევე იმ კოლეჯებზე უნდა გავრცელდეს, რომლებიც 2013 და 2014 წლებში იქნებიან დაფუძნებულნი. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა კი მინისტრის მიერ ჩასატარებელი შეხვედრის შედეგების გათვალისწინებით, პლენარულ სხდომაზე მე-2 და მე-3 მოსმენაზე განსახილველად პროფესიულ კოლეჯებთან, სოციალურ პარტნიორებთან და დარგის ექსპერტებთან შეთანხმებული კანონპროექტის შეჯერებული ვარიანტი უნდა შეიტანოს, – აცხადებს დავითაშვილი.

დავითაშვილის თქმით, ახალი კოლეჯების დაფუძნებაში 25 ქალაქისა და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები, საკრებულოების თავმჯდომარეები, გამგებლები, შესაბამისი დამსაქმებლები, ახალგაზრდები და 2010-2012 წლებში კანონდარღვევით ლიკვიდირებული კოლეჯების უმუშევრად დარჩენილი პედაგოგები არიან დაინტერესებულნი, რომლებიც კოლეჯების ახლად დაფუძნებაზე განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის მიერ მიღებულ სამართლიან გადაწყვეტილებას ელოდებიან.

# ვანო ჩხარტიშვილი შეიძლება დაიჭირონ

შორენა გონგლაძე

ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა საქართველოს დატოვება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო ჯი-ეიჩ-ენი საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. სააგენტოს წყარო იტყობინება, რომ ვანო ჩხარტიშვილი ქონებას ყიდის და გასაქცევად ემზადება.

„მას შემდეგ, რაც ჩხარტიშვილმა გაიგო, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, საქართველოში ყველა ქონების გაყიდვა და ევროპაში სამუდამოდ გადასვლა გადაწყვიტა“, – აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენს -ის წყარო.

„ჯი-ეიჩ-ენს“ ასევე მიაწოდეს ვანო ჩხარტიშვილის პასპორტის ფოტო, რომელიც გაერთიანებული სამეფოს მიერ 2011 წელსაა გაცემული და სადაც ჩხარტიშვილს სახელი და გვარი აქვს შეცვლილი. ამ პასპორტის მიხედვით მისი სახელი და გვარია ჯონ გრიფინი.

– იურიდიულად საქართველოს დატოვებს ბრიტანეთის მოქალაქე ჯონ გრიფინი, ხოლო ივანე ჩხარტიშვილი ოფიციალურად საქართველოში დარჩება. ამ პასპორტის წყალობით ჩხარტიშვილს თავისუფლად შეუძლია გადაადგილდეს ნებისმიერ ქვეყანაში, მაშინაც კი, თუ სამართალდამცველმა სტრუქტურებმა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს – აცხადებს წყარო.

ის, რომ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს, ამას

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც ადასტურებს. ხადურის განცხადებით, ბიზნესმენ ჩხარტიშვილის მიმართ გამოძიება ბადრი პატარკაციშვილის ქონების წართმევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს.

– დამატებით ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ვადასტურებ, რომ ძიება მიმდინარეობს, თუმცა დეტალებზე მას შემდეგ ვისაუბრებთ, რაც გამოძიება დასრულდება – განაცხადა ხადურმა.

ჩხარტიშვილის შესაძლო დაკავებაზე წერს გაზეთი „პრაიმტაიმიც“. გამოცემის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროში ჩხარტიშვილის წინააღმდეგ გამოძიება ბადრი პატარკაციშვილის ქონებების მითვისების ფაქტზე მიმდინარეობს. დავა ყულევის ტერმინალით დაიწყო. მასში პატარკაციშვილს 150 მილიონი ჰქონდა ჩადებული. სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ოლიგარქის შევიწროების გამო, მან ტერმინალის გასხვისება გადაწყვიტა. მის სახელთან დაკავშირებულმა კომპანიამ „კროლ ჰოლდინგ ლიმიტედმა“ ტერმინალი ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ „კარლინას“ მიჰყიდა. პატარკაციშვილმა აქციათა 24,5 პროცენტი ვანო ჩხარტიშვილს გადასცა. თავიდანვე ითქვა, რომ ეს ფორმალური გარიგება იყო.

გამოცემაში წერია, რომ პატარკაციშვილმა ჩხარტიშვილის რეკომენდაციით ერთ-ერთი პირი, ქავთარაძე აღჭურვა დოკუმენტებზე ხელმოწერის, წილის გაყიდვის უფლებით. პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი მასთან ასოცირებულმა კომპანიამ, „კოპელა ვინჩერს ლიმიტედმა“ 12 მილიონ 275 ათას დოლარად გაყიდა თბილისის უნივერმაღი. ამ თანხიდან ოლიგარქის ოჯახს თეთრი არ მიუღია.

დავის საგანი იყო ფოთის წისქვილკომბინატიც, რომლის აქტივებიც გაიყიდა და თანხაც იგივე ხელწერით გაქრა. ეს წისქვილკომბინატი პატარკაციშვილის მფლობელობაში მყოფი კომპანია „ბლუტროპიკ ლიმიტედის“ საკუთრებაში იყო. აქციების 92, 85 პროცენტი 2 მილიონ 692 ათას 22 ლარად გაიყიდა 2008 წლის 5 მარტს, როდესაც პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან 3 კვირა იყო მხოლოდ გასული...

იგივე ხერხით გაიყიდა ნავმისადგომები ფოთში იმავე წლის 10 მარტს...

პატარკაციშვილის ოჯახი დაობდა ოლიგარქის კომპანია „ლაკარპას“ საკუთრებაში არსებულ „ვითიბი ბანკის“ 7,51 პროცენტის აქციებზე და იენერჯი ინვესტის 34 პროცენტწილზე, რომელიც 7 მილიონ 840 ათასად გასხვისდა. ეს წილი კომპანია „კოლჩესტერმა“ მიიღო, რომელმაც მოგვიანებით გიორგი ქავთარაძეს, როგორც „ლაკარპას“ ნდობითაღჭურვილ პირს გადასცა ეს თანხა მოკლევადიანი სესხით. მალევე ეს თანხა ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილს გადაერიცხა, დოკუმენტს კი საფუძვლად ფინანსური დახმარება დაედო.

ბადრი პატარკაციშვილის სახელთან დაკავშირებულმა კომპანიამ „კოპელა ვინჩერს ლიმითედმა“ ავთანდილ წერეთლისგან თამბაქოს ქარხანა (100% პროცენტიანი წილით) 8 მილიონ 762 000 ათას დოლარად იყიდა. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში „კოპელას“ წილი სულ რაღაც 107 ათას 170 ლარად გადაიფორმა კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ (ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანია), ხოლო შემდეგ ეს წილი სრულად დაუთმო შპს „სმარტ გრუპს“, რომლის დამფუძნებლებიც იმ დროისთვის ვანო ჩხარტიშვილის შვილები იყვნენ – ნათია ჩხარტიშვილი – 51% პროცენტის, მიხეილ ჩხარტიშვილი კი – 49%-ის მფლობელი. „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ პატარკაციშვილის კომპანიის წილი ისე გადაიფორმა, რომ თანხაც არ გადაუხდია.

ლილოს ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი გიორგი ქავთარაძის მინდობილობის საფუძველზე, გადაიფორმა „სონატა ალიანს ჯორჯიამ“. არც ამ შემთხვევაში მიუღია კომპანიას ის მიზერული თანხა რომელიც მითითებული იყო ხელშეკრულებაში.

დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ კიდევ ერთი ობიექტი, რომელიც ჩხარტიშვილმა მიითვისა – კოპელას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია კოლმეურნეობის მოედანზე – 2008 წლის 5 მარტს ისევ გიორგი ქავთარაძის მიერ გადაფორმდა კომპანია „მენეჯმენტ კონსტანტინ ლიმიტედზე“ შემდეგ კი მალევე, იგივე ნაკვეთი გადაიფორმა შპს „სმარტ ჯგუფმა“ – კომპანიამ, რომლის დამფუძნებლებიც ვანო ჩხარტიშვილის შვილები არიან.



თავის დროზე პატარკაციშვილის ოჯახსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის დაწყებული დავის მოგვარება ახლობლებმა ითავეს. გამოცემის ინფორმაციით, პატარკაციშვილების ოჯახის პოზიციებს ლევან გაჩეჩილაძე წარმოადგენდა, ჩხარტიშვილისას კი – გოგა ხაინდრავა. ეს მოლაპარაკებებიც საბოლოოდ, კრახით დასრულდა.

2012 წლის დეკემბერში პატარკაციშვილის ოჯახმა მთავარ პროკურატურას მიმართა და მოითხოვა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის აღძვრა. ერთ თვეში თბილისის პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც 9 ეპიზოდზე გამოძიება შეწყდა. დადგენილების თანახმად, აღნიშნული საქმეები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და დავა სამოქალაქო წესით უნდა გაგრძელებულიყო. ამ გადაწყვეტილებას სოციალური ქსელით გამოეხმაურა თავად ვანო ჩხარტიშვილი და ახალ ხელისუფლებას სამართლიანობა მიულოცა. თუმცა როგორც აღმოჩნდა, ჩხარტიშვილის სიხარული ნაადრევი იყო, რადგან გამოძიება ისევ განახლდა.

ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხანიდრავა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის არსებულ ქონებრივ დავაში არა მხარეები, არამედ შუამავლები იყვნენ. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ გოგა ხაინდრავამ განუცხადა.

– ერთი შესწორება მინდა შევიტანო ყოველივე ამაში. ჩვენ მხარეებს არ წარმოვადგენდით, მხარეები არის პატარკაციშვილის ოჯახი და ჩხარტიშვილი. ჩვენ უბრალოდ მოგვმართეს, რომ შუამავლების როლი გვეთამაშა. მე არ წარმოვადგენ ჩახრტიშვილის მხარეს არავითარ შემთხვევაში და არც ლევან გაჩეჩილაძე წარმოადგენს პატარკაციშვილის მხარეს. მხარეები არიან თვითონ, – აცხადებს ხაინდრავა. მისი თქმით, მათ ცალ-ცალკე მიმართეს ჩხარტიშვილმა და პატარკაციშვილის ოჯახმა, რათა შუამავლის ფუნქცია ეკისრათ.

– ჩვენ მოგვმართეს, მე – ვანო ჩხარტიშვილმა და ლევანს – პატარკაციშვილის ოჯახმა, რომ ჩვენ შუამავლების ფუნქცია გვეკისრა და ჩვენ ვიკისრეთ ეს შუამავლების ფუნქცია.

სამწუხაროდ, ეს პროცესი ისე არ დასრულდა როგორც ჩვენ გვინდოდა, რომ რაღაც შერიგება და საერთო, ასე ვთქვათ აზრი ჩამოყალიბებულიყო – განაცხადა ხაინდრავამ.

მისვე თქმით, პროცესი რამდენიმე თვე გაგრძელდა მაგრამ უშედეგოდ დასრულდა.

ხაინდრავას განმარტებით ამჟამად არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ის ინფორმაციას არ ფლობს. ხაინდრავა, მიუხედავად იმისა, რომ განვლილ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია, კვლავაც მზადყოფნას გამოთქვამს, მხარეთა სურვილის შემთხვევაში პოზიტიური როლი შეასრულოს საქმის მიმდინარეობაში.

– თუ ამის სურვილი ექნებათ მხარეებს, რომ რაღაც შუალედური გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი და მე ამაში შემეძლება რაიმე როლი ვითამაშო, დიდი სიამოვნებით. ბადრი ჩემი მეგობარი იყო და ბუნებრივია ჩემი ვალია, რომ მის ოჯახს შესაძლო უსიამოვნებები თავიდან ავაცილებინო, – განაცხადა ხაინდრავამ.

ინფორმაციას, რომ ჩხარტიშვილის მიერ ბადრი პატარკაციშვილის ქონების მითვისებაზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს, საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის უფროსი ნათია სუხიაშვილიც ადასტურებს. – საქმე ამჟამად წარმოებაშია და დამატებით კომენტარისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ, – აცხადებს სუხიაშვილი.

ინფორმაციას ასევე ადასტურებს პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატი ლაშა ბირკაია.

## პაციენტებს ახალი გულშემატკივარი გამოუჩნდათ

მერი ნამორაძე

რამდენად ინფორმირებულნი არიან პაციენტები საკუთარი უფლებების შესახებ? რამდენად არის შესაძლებელი სასამართლოს გვერდის ავლით მოაგვარონ დავა სამედიცინო დაწესებულებასთან თუ მედპერსონალთან? პაციენტების უფლებების დასაცავად ზრუნვას ამჯერად არასამთავრობო სექტორი ერთიანი კოალიციით შეეცდება. თუმცა, ისინი არა მხოლოდ პაციენტების, არამედ სამედიცინო პერსონალის უფლებებისთვისაც იზრუნებენ. 8 ორგანიზაცია კოალიციაში „ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში“ გაერთიანდა და მედიაციის განვითარების გზით გადაწყვიტა მათი უფლებების დაცვა. სხვა მიმართულებებთან ერთად კოალიცია ხელს შეუწყობს საზოგადოების მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების – პატიმრების, აივ-ინფიცირებულების, ტერმინალურ სტადიაში მყოფი პაციენტების, ფიზიკური, გონებრივი განვითარების შეფერხების და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების, ნარკოტიკების მომხმარებლების და სხვა სამოქალაქო და სოციალური უფლებების დაცვას.

როგორც კოალიციაში ამბობენ, ჯანმრთელობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვა მწვავე პრობლემად რჩება საქართველოში. ბოლო წლებში მიმდინარეობს ჯანდაცვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თუმცა, რეალობა აჩვენებს, რომ სამედიცინო კლინიკებსა და დაწესებულებებში მომრავლდა პაციენტთა პრეტენზიები სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მიმართ, იმატა სასამართლო სარჩელებმა. ამის მიზეზად არასამთავრობო სექტორი სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებებს, პაციენტთა გაუთვითცნობიერებლობას და ინფორმაციის ნაკლებობას, პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას, სამედიცინო სფეროში კანონმდებლობის ხარვეზებს ასახელებს.

ჯანდაცვის სფეროში მედიაციის სამსახური უკვე მოქმედებს, ოღონდ ჯანდაცვის სამინისტროს ქოლგის ქვეშ. კონფლიქტების თავიდან აცილებაში გარკვეული როლი ამ სამსახურმა უკვე ითამაშა და ამ გამოცდილების შესწავლას და გაზიარებას უკვე კოალიცია აპირებს. მედიაციის შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია, სასამართლო გადაწყვეტილებებიდან განსხვავებით, რომლებიც სავალდებულოა მხარეებისათვის აღსასრულებლად. მაგრამ მედიაციით მიღებულ გადაწყვეტილებებში ორივე მხარის ინტერესია ასახული, რაც იმის გარანტიაა, რომ მხარეები თვითონ არიან დაინტერესებული მის აღსრულებაში. მედიაცია პაციენტებს, მათ შორის მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, საშუალებას მისცემს პაციენტებს თავიდან აიცილონ სასამართლო პროცესები და მოლაპარაკებების გზით მიაღწიონ სასურველ შედეგს. როგორც კოალიციაში ამბობენ, მედიაციამ ხელი უნდა შეუწყოს ჯანდაცვის და სამართლებრივი სერვისების ინტეგრაციას, ადამიანის უფლებების პატივისცემას და დაცვაზე ორიენტირებული ჯანდაცვის პრაქტიკის დამკვიდრებას.

## „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი პრაიმერის გზით გამოვლინდება



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი პრაიმერის გზით გამოვლინდება. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ გუშინ, საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მისი განცხადებით, პარტიის გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაკავება, პარტიის ინფრასტრუქტურის ნგრევას არ ნიშნავს და „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება პარტიული პრაიმერის გზით მაინც მოხდება.

„გენერალური მდივნის დაპატიმრება არ ნიშნავს პარტიის ინფრასტრუქტურის დანგრევას, არ ნიშნავს პარტიის ერთიანობის და მისი მორალის გატეხვას, როგორც ხელისუფლებას ამის სურვილი და განზრახვა ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ჩვენი გადაწყვეტილებაა არ შევცვალოთ საწყისი გეგმა და „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება პარტიული „პრაიმერის“ გზით მოხდეს. ეს არის გზა, როდესაც გადაწყვეტილებას საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით მიიღებს არა ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, არამედ, ეს არის გზა როდესაც ამ გადაწყვეტილებას ერთიანობაში და მთლიანობაში პარტია, მისი ყველა წევრი, მისი მხარდამჭერები და საქართველოს ის მოქალაქეები მიიღებენ, ვისაც ამ პროცესში ჩართვის სურვილი ექნება“– განაცხადა დავით ბაქრაძემ.

**ნიუსპრესი**

## ნათელაშვილი ივანიშვილს ხალხის ქუჩაში გამოყვანით ემუქრება

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ, საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაზე, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ ბრიფინგი გამართა. მან საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს არსებული საარჩევნო კოდექსის სასწრაფოდ გარდაქმნისაკენ მოუწოდა, რათა საარჩევნო სუბიექტთა ძალები გათანაბრდეს. მისი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ნათელაშვილი ხალხის ქუჩაში გამოყვანით იმუქრება.

„აშშ-ს კონგრესის რეზოლუცია კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებს. შესაბამისად, გაკოტრებულ ივანიშვილს არჩევნების ნორმალური, დემოკრატიული გზით მოგება აღარ შეუძლია და ამიტომ სააკაშვილის კანონების გამოყენებით, შემოდგომით დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების მასობრივი გაყალბებისთვის ემზადება.

ჩვენ მოვუწოდებთ პრემიერს, სასწრაფოდ გარდაქმნას საარჩევნო კოდექსი, დაკანონდეს საარჩევნო სუბიექტების სრული თანაბრობა კომისიებში, საეთერო სივრცეში რეკლამის ხანგრძლივობისა და დაფინანსების ასპექტებში. ასევე, სავალდებულო გახდეს არჩევნებში მონაწილეობა და დალუქული საარჩევნო ბიულეტენები გადაითვალოს. თუკი ამას ივანიშვილი არ გააკეთებს, მაშინ ხელისუფლება საკუთარ განაჩენს თავად მოაწერს ხელს. ჩვენს ასეთ არჩევნებს არ ვცნობთ და ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთ“ – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**ნიუსპრესი**

## ფილიპ დიმიტროვი: „მერაბიშვილის საქმეს თვალს ყურადღებით ვადევნებთ“

საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის განცხადებით, ვანო მერაბიშვილის ადვოკატის პოზიცია შეუსაბამობებსა და უზუსტობებზე მიანიშნებს.

ამის შესახებ დიმიტროვმა მერაბიშვილის ადვოკატებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა განაცხადა. „მერაბიშვილის საქმეს თვალს ყურადღებით ვადევნებთ. მისი ადვოკატის პოზიცია ბუნებრივია და მიანიშნებს შეუსაბამობოებსა და უზუსტობებზე. ჯერ არ შეგვიძლია, ვისაუბროთ საქმეზე, რომელიც ძიების ეტაპზეა, მაგრამ დიპლომატების მხრიდან აქ ითქვა, რომ ეს საქმე სერიოზულ მონიტორინგს საჭიროებს“, – განაცხადა დიმიტროვმა.

**მედიანიუსი**

## დედოფლისწყარო და ქვემო ქართლის რეგიონი გაუდაბნოების საფრთხის წინაშე დგას

გარემოს დაცვის სამინისტრომ გუშინ, გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნა.

მიმდინარე წელს, გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის თემა გვალვა და წყლის სიმწირე, ხოლო სლოგანი – „არ დაუშვა ჩვენი მომავლის გაუწყლოვანება“ იქნება.

გარემოს დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მიზანია ცნობიერების ამაღლება გვალვისა და წყლის სიმწირის, აგრეთვე ჯანსაღი ნიადაგის მდგრადობის თაობაზე. ეს განსაკუთრებით რეგიონებს ეხება, სადაც ტენიანობა დაბალია.

გაუდაბნოება ნაყოფიერი მიწების უდაბურ ადგილად გადაქცევის პროცესია, რაც

გვალვას, ტყის მასივებისა და სოფლის მეურნეობის დაზარალებას, საკვები რესურსების კლებას, შიმშილს, სიღარიბეს, გახშირებული ქარისა და მტვრისგან მოსახლეობაში ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს. სამინისტროს ინფორმაციითვე, საქართველოში გაუდაბნოების ყველაზე დიდი საფრთხე დედოფლისწყაროს რაიონს და ქვემო ქართლს ემუქრება. არსებული ქარსაცავი ზოლების განადგურებამ, გადაჭარბებულმა ძოვებამ, ტყის ხანძრებმა და არამდგრადმა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკამ, მიწის 30%-ის დეგრადაცია გამოიწვია.

**ნიუსპრესი**

# ნაციონალები რაიონების დაკარგვას ვერ ეგუებიან

როლანდ ხოჯანაშვილი

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, 75 მუნიციპალიტეტიდან სხვადასხვა გზით, რაც ხშირად მოიცავდა პირდაპირ ზეწოლას, შანტაჟს და მმართველი პარტიის მიერ ორგანიზებული ბრბოების მიერ შენობების უკანონო დაკავებასაც, შეიცვალა 50 გამგებელი და 25 საკრებულოს თავმჯდომარე, – წუხან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები.

სხვამ ვინ, თუ არა, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა იციან, რას ნიშნავს ძალადობრივი გზით თავისი კადრების დანიშვნა. თუ სამართლიანობა აგვალაპარაკებს, მაშინ ვთქვათ: 9 წელი ცუდად ვცხოვრობდით (ეს უდავოდ!) და თუ პრეზიდენტი, პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი არაა ბრალში, მაშ ვილას დავაბრალოთ გამწარებული ბოლო ათწლეულის სიმძიმე?! მაშინ ადგილობრივ ხელისუფლებას! მიუხედავად ამ მიზეზისა, „ნაცმოელები“ სკამებს გამწარებით ებღაუჭებიან.

ჩემი ყურადღების ქვეშ ყოველთვის იყო საჩხერის და ჭიათურა-ზესტაფონის საკრებულოები. საჩხერეში გამგებელიც შეიცვალა და საკრებულოს თავმჯდომარეც. საჩხერის მუნიციპალიტეტს ახლა ივანე გოშაძე ხელმძღვანელობს, რომელსაც „ბრალად ედება“ მანანა კობახიძის საარჩევნო შტაბის უფროსის ძმობა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარე „გამოუსწორებელი რესპუბლიკელი“ ინგა ზაზახიძეა, რომელსაც თითქმის მთელმა საკრებულომ ვარდები მოუფინა ახალ თანამდებობის დასაკავებლად. (ისე, ეს ის ზაზახიძეა, რომელსაც წარსულის გამო დიდ პატივს ვცემ: მან სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა მაშინ დატოვა, 7 ნოემბერს რომ „გაგვინაციონალეს“ გვერდები დუბინკებით). ამჯერად ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებიდან მხოლოდ ჭორვილას შერჩენია ძველი „სასტავი“, როგორც ჩანს, ისინი 1 ოქტომბრამდე „ოცნებობდნენ“.

რაც შეეხება ჭიათურას, საკრებულოს თავმჯდომარე ისევ ძველია, ისიც ძველი „რესპია“, დავით ბერძენიშვილთან ნათელ-მირონით დაკავშირებული, გამგებელი, ბუნებრივია, ახალი ჰყავს ჭიათურას, რადგან „ძველი“ მაჟორიტარად იყრიდა კენჭს და სათოფეზე არ მიშვებდნენ მასთან. ერთხელ მქონდა მცდელობა და მისმა ზომაზე მეტად ფერხორციანმა მოადგილე კეთილაძემ ლამის ჭიკარტივით გამიშვა მიწაში მხოლოდ იმისათვის, რომ მაინტერესებდა, სად ჯანდაბაში გადაამხეცეს 13 მილიონი ლარი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან წამოვიდა წინასაარჩევნოდ „შავ ქალაქში“. მოკლედ, ამის გამო კინაღამ „ინფოს“ ვარსკვლავი გავხდი, მერე ჩემი ფეისბუქელი მეგობრები მასობრივად აპირებდნენ გამგეობის მეხდასაცემი შენობის პიკეტირებას, მაგრამ აღარ დასჭირდათ. 1 ოქტომბრამდე დაიწყო „ვირთხების რბოლა“ გამგეობიდან. ივანიშვილის წინასაარჩევნო ჭიათურულ ვიზიტს დაემთხვა მუნიციპალიტეტის „თეთრ სახლზე“ მალულად ოცნების მაისურის გადმოფენა, რომელიც ჩემმა კამერამ დააფიქსირა და როგორც კულუარულად გამოჟონა ინფორმაციამ, ამ მასალამ დიდად ააღელვა მუნიციპალურ-გუბერნიული „ნაცსასტავი“. წაგების მერე ჭიათურის გამგეობა დატოვა ადმინისტრაციული რესურსის უმეტესობამ.

ცოტა უფრო არასაოცნებოდ დგას საკითხი ზესტაფონში. საკრებულო ისევ „ნაცმოურია“, ხოლო გამგებელი გეწაძე პასუხისმგებლობის წინაშე დააყენეს ამიტომ ზესტაფონს ამჯერად გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მართავს. ამ მუნიციპალიტეტზე აქცენტს არ აკეთებენ, რადგან 18 ტერიტორიული ორგანოდან მხოლოდ სამი რწმუნებულია შეცვლილი.

რაც შეეხება ქუთაისს, სავარდო და სამაისო ქალაქის „ნაცები“ ხაზგასმით ამბობენ, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან დათხოვნა ხდება „ქართული ოცნების“ მიერ ბიუროკრატიის ზოგადი ზრდის ფონზე. ქუთაისის შემთხვევაში, 5 ივნისს დაინიშნა ახალი მერი, დიმიტრი კოპალიანი. სულ რაღაც ერთ კვირაში კი 12 ივნისს საკრებულომ დაამტკიცა საქალაქო სამსახურების ახალი სტრუქტურა, რომლის თანახმადაც მათი რაოდენობა გაიზარდა 17-დან 19-მდე, ხოლო არსებულებს შეეცვალათ (თუმცა არ შეცვლიათ ფუნქციები) სახელწოდება, რაც თანამშრომელთა მასიურ დათხოვნას გააადვილებს. გაიზარდა სამსახურებში განყოფილებების რაოდენობაც. ეს სწორი გითხრათ და ქუთათურ „ოცნებელებს“ ნაციონალებისგან ექნებათ ნასწავლი— ჩემი ოჯახის წევრებიც სწორედ ამ მოტივით დასვეს სახლში: რესტრუქტურიზაცია-რეორგანიზაცია გიშვებთ სახლში, ჩვენ, ნაციონალები, კი არაო!

ვაშაძე ლაპარაკობს: „აღსანიშნავია, რომ ქუთაისის მერიაში მიმდინარე უსამართლო პროცესები მიმდინარეობს „ქართული ონების“ მიერ ბიუროკრატიის ზოგადი ზრდისა და ნეპოტიზმის არნახული აყვავების ფონზე, რამაც ფაქტიურად წალეკა სახელმწიფო აპარატი. მაშინ როცა ეკონომიკა განიცდის შენელებას და ხალხი ყოველდღიურად კარგავს სამსახურს, ბიუროკრატიის ზრდა ეკონომიკას კიდევ უფრო შეანელებს. ეს ეკონომიკის ზოგადი კანონია.“ ვერ გეტყვით, ეკონომიკა უფრო ადარდებს ბატონ ვაშაძეს თუ საიმედო და გამოცდილი კადრების სახლში გაშვება ქუთაისის ადმინისტრაციებიდან, მაგრამ ეს ფაქტია: რომ დაეკითხოთ მოსახლეობის უმეტესობას, უნდა გაათავისუფლონ თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები სამსახურებიდან, ისინი გეტყვიან, რომ მარტო გათავისუფლება არ არის საკმარისი მათზე და ვირის აბანოები უფრო უპრიანიაო.

„50 მუნიციპალიტეტიდან დათხოვნილი 2000 ადამიანის სანაცვლოდ, სამსახურში აყვანისას მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში ჩატარდა კონკურსი. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დღევანდელი მთავრობის საკადრო პოლიტიკის ერთადერთი კრიტერიუმი ნაცნობ-მეგობრობა და ნათესაობაა,“ – აღნიშნა ვაშაძემ. მინდა შეველითხო გაზეთის ფურცლიდან ბატონ პარლამენტარს, იქნებ ჰქონდეს ეს სტატისტიკაც, მათ მოსვლას რამდენი ადამიანის „სახლში წასვლა“ მოჰყვა?!

ამ დრომდე ქუთაისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში 700-მდე ადამიანია დასაქმებული და ყველა თუ უნდა წავიდეს თანამდებობიდან, მართლა გაჭირდება საქმე.

# ნანა კაკაბაძე: „ქართველი ხალხის უპირობო მოთხოვნა ნაციონალური რეჟიმის გასამართლებაა“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, გუშინ, სახალხო მოძრაობის – „სამართლიანობა უნდა აღსდგეს“ რეზოლუცია განიხილეს, რომელიც მოძრაობამ, 2013 წლის 19 მაისს გამართულ ყრილობაზე ერთხმად მიიღო.

„ქართულმა საზოგადოებამ 1 ოქტომბერს განაჩენი გამოუტანა სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს და ამით უარი უთხრა უსამართლობას, ქართული კულტურისა და ცნობიერების აბუჩად აგდებას, ეკლესიების ნგრევას და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ განხორციელებულ მუხანათურ პოლიტიკას, უკანონო პატიმრების არაადამიანურ წამებას, პრობაციონერების შანტაჟს, ბიზნესის დაწიოკებას, პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან დათხოვნას, გაუსაძლის სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფონს, ქართველი ხალხის ქონების უკანონო გასხვისებას, ომის ვეტერანების და ჯარისკაცების უფლებების სრულ უგულებელყოფას, განათლების სისტემის ნგრევას და ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლების შეურაცხყოფას, დევნილების ჩაგვრას და დაწიოკებას, მეანაზრეთა მოტყუებას, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებსა და ქვეყანაში გამეფებულ დიქტატურასა და ტერორს“ – აღნიშნულია რეზოლუციაში.

სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ, ნანა კაკაბაძემ პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოსთხოვა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს შეისწავლის და შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ შეფასებას მისცემს მათ.

„ მივმართავთ ხელისუფლებას და საერთაშორისო თანამეგობრობას: – ქართველი ხალხი სამართლიან გადაწყვეტილებას ელის. არცერთი ცივილიზებული სახელმწიფო ხელს არ დააფარებს რეჟიმს, რომელმაც თავისი ქმედებით და არსით საკუთარ ქვეყანაში „თანამედროვე ფაშიზმის“ კვალიფიკაცია შეიძინა“ – განაცხადა კაკაბაძემ.

მისივე თქმით, ახალმა ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა დროულად უნდა დაიწყოს.

„ქართველი ხალხის უპირობო მოთხოვნა, ნაციონალური რეჟიმის და სისტემის კანონის სრული სიმკაცრით გასამართლებაა“– განაცხადა მოძრაობის თავმჯდომარემ.

კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განმარტებით, სამართლიანობის აღდგენა როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხი, სამ შტოზეა გადანაწილებული. ესენია – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება.

„ ჩვენ სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა პოლიტპატიმრების გათავისუფლებით დავიწყეთ. ის, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოსვლისთანავე 190 პოლიტპატიმარი და 25 პოლიტდევნილი ვაღიარეთ, იყო მძიმე, ერთგვარი საბრალდებო დასკვნა წინა ხელისუფლებისათვის. სამართლიანობის აღდგენის პროცესის ხელოვნურად დაჩქარებამ, შესაძლოა, სხვა უსამართლობები წარმოშვას და ამით ჩვენ ვერ დავემსგავსებით ჩვენს წინამორბედ ხელისუფლებას. ეს უნდა მოხდეს თანმიმდევრულად, პროცესი დაწყებულია და გრძელდება „ – აღნიშნა ბესელიამ.

ნიუსპრესი

# თემურ შაშიაშვილი: „უკრაინაში ჩვენს საელჩოს ისევ გივი თარგამაძე მართავს“



პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა, რომელიც უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა, გუშინ შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა.

შაშიაშვილის თქმით, ქართული დიასპორის ყოფა უცხოეთში უმძიმესია და ისინი ფაქტიურად მონის დონეზე მუშაობენ.

„ასეთი მძიმე და საინტერესო შეხვედრები ჯერ არ მქონია. ქვეყნის გარეთ 4 000 მდე ქართველს შევხვდი. უნდა გითხრათ, რომ უმძიმესი სიტუაციაა. უკრაინაში საელჩოს გივი თარგამაძე მართავს. ყველგან, სადაც ჩავედი, სააკაშვილის ელჩების ბიზნესსა და ფულზე მიამბეს. ჩვენი მოქალაქეები ყველგან მონები არიან და ადამიანური უფლებები არ აქვთ. 1 ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, ამ ხალხს იმედი გაუჩნდა, მაგრამ ეს იმედი კოსმიური სიჩქარით უცრუვდებათ. საბერძნეთში კი, დიასპორების მინისტრთან შეხვედრაზე ბევრმა ადამიანმა უარი განაცხადა, არჩევნების წინ არავის შევხვდებითო“ – განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

შაშიაშვილის განცხადებითვე, დღეს საქართველოდან ხალხის გადინების და საქართველოში ხალხის შემოდინების ბიზნესი არსებობს. გაჰყავთ ქართველები და შემოყავთ უცხო ტომელები.

მან შსს, ამ კუთხით დაინტერესებისკენ მოუწოდა.

„ჩვენ ჰაერივით გვჭირდება ამ ადამიანების დაბრუნება, მათ ნახეს, როგორია ნამდვილი ევროპა, როგორ იცავენ წესებს დ ადათს ევროპელები და არა ის ყალბი ღირებულებები, რასაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ წარმოგვიდგენს და თავს გვახვევს“ – აღნიშნა თემურ შაშიაშვილმა.

ნიუსპრესი

# ლევან გაჩეჩილაძე: „ვანო ჩხარტიშვილმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაუბრუნებს თუ არა კუთვნილ თანხას პატარკაციშვილებს“



მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, ის, ჩხარტიშვილ-პატარკაციშვილების ქონებრივი დავის მოგვარების საკითხში, ნამდვილად იყო ჩართული, თუმცა ამ მოლაპარაკებებს შედეგი ჯერჯერობით არ მოჰყოლია.

როგორც ლევან გაჩეჩილაძემ „ნიუსპრესთან“ საუბარში განაცხადა, ამ ეტაპზე ვანო ჩხარტიშვილმა უნდა გადაწყვიტოს, დაუბრუნებს თუ არა იმ თანხას პატარკაციშვილების ოჯახს, რაც მათ ეკუთვნით.

„ვადასტურებ, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ვანო ჩხარტიშვილთან პრობლემური საკითხების მოგვარება მთხოვა, თუმცა ჯერ-ჯერობით ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ამ ეტაპზე არანაირი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს, რადგან გადაწყვეტილება ვანო ჩხარტიშვილმა უნდა მიიღოს, გადაიხდის თუ არა იმ ფულს რაც ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. მე არ ვიცი რა გადაწყვეტილება მიიღეს გამოძიების განახლებასთან დაკავშირებით, რადგან მე არ ვარ სამართლებრივ დავაში ჩართული, მე ადამიანურ მოლაპარაკებებში ვარ ჩართული, ვინაიდან პატარკაციშვილების ოჯახთან, ჩემი წარსულიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი მორალური და ზნეობრივი საკითხები მაკავშირებს“– განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ „ნიუსპრესთან“ საუბარში.

შეგახსენებთ, რომ პატარკაციშვილ-ჩხარტიშვილების ქონებრივი დავის შესახებ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება განახლდა.

ნიუსპრესი

# პატრიარქმა ხულოში 1300-მდე ადამიანი მონათლა

აჭარაში მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, გუშინ, ხულოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში 1300-მდე ადამიანი მონათლა.

პატრიარქმა წმინდა მირონის მიღება თავის ნათლულებს, პირადად მიულოცა. გუშინვე, უწმინდესმა, მეუფე სპირიდონი მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა.

პატრიარქი აჭარაში რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩება და 19 ივნისს, დიდ ნათლობას დაესწრება, რომელიც ბათუმში გაიმართება.

ნიუსპრესი

# ნათია ლაზაშვილი პრემიერის აპარატში მრჩევლად დაინიშნა

ნათია ლაზაშვილი ღ-ის საკითხებში პრემიერის აპარატში მრჩევლად დაინიშნა.

„კონსულტაციას ვუწევ, კონსულტანტი ვარ უბრალოდ ღ -ის დარგში“, – განაცხადა „პირველ რადიოსათან“ საუბრისას ლაზაშვილმა.

ცნობისთვის – ჟურნალისტი ნათია ლაზაშვილი 1995 წლიდან სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის პროგრამა კურიერის წამყვანი იყო, 2006 წელს მან ტელევიზია კოლეგებთან ერთად პროტესტის ნიშნად დატოვა. 2012 წლიდან კი 6 წლიანი პაუზის, შემდეგ იგი ტელევიზიას დაუბრუნდა და მაყურებელმა ის „მეცხრე არხის“ ეთერში იხილა. მეცხრე არხი მან 2012 წლის ოქტომბერში დატოვა.

მედიანიუსი

# ირაკლი ალასანია აზერბაიჯანში ჩავიდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ერთდღიანი ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ალასანიამ აზერბაიჯანელ კოლეგასთან გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევთან გამართა შეხვედრა.

როგორც „მედიანიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები და სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. საუბარი შეეხო ასევე, რეგიონში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას.

მედიანიუსი

# დავით ნარმანიამ თბილისის შემოვლით გზაზე რეაბილიტირებული ხიდი გახსნა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ თბილისის შემოვლით გზაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და ამავე გზაზე მდებარე 500-მეტრიანი რეაბილიტირებული ხიდი გახსნა.

როგორც სამინისტრო იტყობინება, თბილისის შემოსავლელი გზის მე-9 კმ-ზე, მდინარე გლდანულაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითრების სამინისტროსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის კოორდინაციით გახორციელდა, დასრულებულია და ავტოტრანსპორტს დედაქალაქის შემოვლით სატრანზიტო გზაზე გადაადგილება თავისუფლად შეუძლია. ხიდის რეაბილიტაცია 2 მლნ 495 ათასი ლარი დაჯდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები სს „ხიდმშენმა“ განახორციელა. ხიდს ჩაუტარდა ბურჯების გაძლიერებისა და შეკეთების, ჰიდროიზოლაციის განახლების, სავალი ნაწილის რეაბილიტაციისა და მდინარის კალაპოტის სარეგულაციო რკინა-ბეტონის კედლების მშენებლობის სამუშაოები. ამ დროისთვის ინტენსიურად მიმდინარეობს თბილისის შემოვლითი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. აღნიშნული გზა სატრანზიტო დანიშნულებისაა, შესაბამისად, მისი დატვირთვა ძალიან მაღალია. სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სააქციო საზოგადოება „ხიდმშენთან“ ერთად ახორციელებს. ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია ძველი გზის რეაბილიტაცია დამატებით ახალი გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ჯამური ღირებულება 17 მილიონ 523 ათასი ლარია.

მედიანიუსი

# რუსებმა ვითარება გალის რაიონშიც დაძაბეს

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ორშაბათის ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. პრესას აინტერესებდა, როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია რუსეთის მხრიდან მიკაილ კადიევის ექსტრადირების მოთხოვნის შემთხვევაში?**

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, თუ მიკაილ კადიევის ექსტრადიციასთან დაკავშირებით რუსეთის მხრიდან მოთხოვნა იქნება, ის პროკურატურას გადაეგზავნება.

მინისტრის მოადგილის განმარტებით, რუსეთის მხრიდან ჯერჯერობით არანაირი მომართვა არ ყოფილა.

— ეს სამართლებრივი საკითხია და თუ იქნება ასეთი მოთხოვნა, გადაეგზავნება პროკურატურას და ის მიიღებს გადაწყვეტილებას, მოხდება თუ არა კადიევის ექსტრადიცია, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

„კომერსანტის“ ცნობით, უახლოეს ხანებში რუსეთის გენერალური პროკურატურა საქართველოს მიკაილ კადიევის ექსტრადიციის თხოვნით მიმართავს. იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით მიკაელ კადიევსა და რიზვან ომაროვს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 50-დღიანი პატიმრობა შეუფარდა.

საგარეო უწყებაში პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ იშხნის რესტავრაციასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა. ზალკალიანის ინფორმაციით, თურქეთი იშხნის რესტავრაციასთან დაკავშირებით ქართული მხარის შენიშვნებს გაითვალისწინებს.

— საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა თურქეთის ხელისუფლებას, რომ ჩვენი ექსპერტები დაეშვა მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებზე. თუ არ ვცდები, აპრილში ისინი იქ იყვნენ ჩასულები და თურქულ მხარეს გადასცეს ყველა ის შენიშვნა და მოსაზრება, რომელიც ქართულ მხარეს იქ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გააჩნია. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თურქული მხარე ჩვენს შენიშვნებს გაითვალისწინებს და, ბუნებრივია, ამაში კიდევ უფრო დაგვეხმარება ის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის უნდა გაფორმდეს, სადაც უკვე იურიდიულად დაფიქსირდება ჩვენი ექსპერტების დაშვებულობა, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო უწყებაში მინისტრის მოადგილემ გალის რაიონში გართულებულ მდგომარეობაზე ისაუბრა.

დავით ზალკალიანი იმედოვნებს, რომ სოფელ ორსანტიაში ოკუპანტების მიერ დაკავებული მოქალაქე თენგიზ ყურუა რამდენიმე დღეში გათავისუფლდება.

როგორც ზალკალიანმა დღეს პრესკონფერენციაზე განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საკითხით აქტიურადაა დაკავებული.

— ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრებში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ამ დაკავების შესახებ შეხვედრის მონაწილე სხვა მხარეებს უკვე აცნობა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს დაკავებულის გათავისუფლებისთვის და იმედი მაქვს, რომ ის რამდენიმე დღეში გათავისუფლდება, — განაცხადა ზალკალიანმა.

საგარეო უწყებაში გამართულ პრესკონფერენციაზე, მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა დაგეგმილ ვიზიტებზე ისაუბრა. 18-19 ივნისს საქართველოში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის ლეონიდ კოჟარას ვიზიტი გაიმართება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრთან, პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

შეხვედრაზე მხარეები საქართველოსა და უკრაინას შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს, ასევე რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის სქემებს განიხილავენ. ვინაიდან უკრაინა ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარეა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეუთო-ს ფარგლებში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას, განსაკუთრებით იმას, რაც კონფლიქტებს უკავშირდება.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება „საქართველოსა და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების საგზაო რუკას 2013-2014 წლებისთვის“.

19-20 ივნისს ვენაში ეუთო-ს უსაფრთხოების საკითხების გადახედვის ყოველწლიური კონფერენცია გაიმართება.

კონფერენციას საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი დაესწრება.

როგორც ზალკალიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ის კონფერენციის ფარგლებში სამი პანელის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას და სიტყვით გამოვა.

— კონფერენციის განსახილველ თემას ადრეული გაფრთხილების, კონფლიქტის პრევენციის, კრიზისის მართვის, კონფლიქტის მოგვარებისა და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის საკითხები წარმოადგენს. ჩემს გამოსვლაში ყურადღებას გავამახვილებ კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე, მათ შორის, მავთულხლართების გაბმაზე, — განაცხადა ზალკალიანმა.

19-26 ივნისს საქართველოს ეუთო-ს უმაღლესი კომისარი უმცირესობათა საკითხებში კნუტ ვოლებეკი ეწვევა.



როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა, ვიზიტის ფარგლებში ვოლებეკი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილს, განათლების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს დავით დარახველიძეს, უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას, სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს შეხვდება.

ზალკალიანის თქმით, ვოლებეკს ქვეყანაში არსებული პროცესების შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიეწოდება.

საგარეო უწყებაში მინისტრის მოადგილემ გასულ კვირას გაეროს გენერალურ ასაბლეაზე მიღებულ რეზოლუციაზე ისაუბრა. ზალკალიანი გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე დევნილების შესახებ რეზოლუციის მიღებას ქართული დიპლომატიის ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებად აფასებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მადლობას უხდის ყველა იმ ქვეყანას, რომელმაც მხარი დაუჭირა რეზოლუციას, ასევე დიპლომატიურ მისიასა და სამინისტროს აპარატის თანამშრომლებს.

— რეზოლუცია რამდენიმე დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დემოგრაფიული გარემოს იძულებით შეცვლაზე, დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნებისა და საკუთრების უფლებაზე. ასევე მოუწოდებს ჟენევის ფორმატის მონაწილეებს, რომ ყურადღება გაამახვილონ აღნიშნულ პრობლემებზე და გაერო-ს გენერალურ მდივანს ავალდებულებს, წელიწადში ერთხელ მოამზადოს ანგარიში ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს რეზოლუცია ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი დიპლომატიისთვის და მომავალ წლებშიც გავაგრძელებთ მუშაობას, რომ რეზოლუციაზე მხარდამჭერთა რაოდენობა გაიზარდოს, — განაცხადა ზალკალიანმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი ამბობს, რომ საქართველოში დაგეგმილი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და ნატო-ს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტის დროს ნატო-ს მაღალჩინოსნებს საშუალება ექნებათ უშუალოდ გაიგონ, როგორ მიმდინარეობს დემოკრატიული პროცესები საქართველოში.

მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, რომ ეს ვიზიტი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

— ჩვენ ველოდებით, რომ მოხდება ადეკვატური შეფასება იმ დემოკრატიული რეფორმების, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ბუნებრივია, იმ წვლილზე გვექნება საუბარი, რომელიც საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოებაში შეაქვს. ასევე გვექნება საუბარი იმაზე, თუ რა ფორმით იქნება საქართველო ჩართული საერთაშორისო მისიაში 2014 წლის შემდეგ, — განაცხადა ზალკალიანმა.

# თეა წულუკიანი: „სასამართლო რეფორმა გაგრძელდება“

ნათია ხურცილავა

თეა წულუკიანი ფიქრობს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება აუცილებელია. საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბარი ექსპერტების მხრიდან არაერთხელ ყოფილა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ცოტა ხნის წინ განცხადება გააკეთა. როგორც ცნობილია, შეიქმნება კომისია, რომელიც საკონსტიტუციო საკითხებზე იმუშავებს.

იუსტიციის მინისტრი საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით საქართველოში არ გამოსულა. წულუკიანმა თავის სომეხ კოლეგას ჰრაირ ტოვმასიანთან შეხვედრაზე ისაუბრა. სწორედ მან განაცხადა საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობაზე. წულუკიანი სომხეთის იუსტიციის მინისტრს ქვეყნის სამართლებრივი სისტემის წინაშე მდგარ გამოწვევებზე ესაუბრა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის საუბრის თემა საკონსტიტუციო ცვლილებები, სასამართლო სისტემის რეფორმა და ნარკოტიკული პოლიტიკის ცვლილება იყო.





იუსტიციის მინისტრის განცხადებით, სასამართლო რეფორმის ერთი ეტაპი დასრულებულია, თუმცა პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. მან ნარკოპოლიტიკაში დაგეგმილ ცვლილებებზეც ისაუბრა, რომელთა თანახმადაც, ნარკომომხმარებლები ავადმყოფებად განიხილებიან და მათ ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრებათ. რაც შეეხება გამსაღებლებს, სანქციები მათ მიმართ აუცილებლად გამკაცრდება.

როგორც ცნობილია, სომხეთში ნარკომომხმარებლები სისხლის სამართლის დამნაშავეებად არ ითვლებიან და მათ მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელი ეკისრებათ.

— ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში კონსტიტუციის ცვლილება ისევ აუცილებელია. თუმცა ვიმედოვნებ, რომ ეს იქნება ბოლო ცვლილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდება. ჩვენი მიზანია, ამჯერად ისე შეიცვალოს კონსტიტუცია, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს შეეძლოს თავისუფლად თქმა — ეს ჩემი კონსტიტუციაა! — განაცხადა წულუკიანმა.

სომხეთის იუსტიციის მინისტრის თქმით, დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი როგორც საქართველოსთვის, ისე სომხეთისთვის, ძიების პერიოდია, მათ შორის, ქვეყნების სამართლებრივი ფორმირების პროცესშიც. ჰრაირ ტოვმასიანის განცხადებით, — სომხეთი მართლმსაჯულების კოდექსში შესატან ცვლილებებზე მუშაობს, რადგან არსებობს კორუფციის რისკები, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პრობლემა.

— ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს, როგორ დასრულდება კოჰაბიტაცია საქართველოში. საინტერესოა, რით დამთავრდება ეს შემთხვევა საქართველოში, როცა პრეზიდენტი სხვა პარტიიდან არის და პრემიერი სხვა პარტიიდან, — განაცხადა ტოვმასიანმა და აღნიშნა, რომ სომხეთის იუსტიციის სამინისტრო, ასევე, ინტერესით ადევნებს თვალს სასამართლოს რეფორმას, რომელიც ჯერ კიდევ წინა მთავრობის მმართველობის პერიოდში დაიწყო.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა სომეხ კოლეგას ამ საკითხში დახმარება და იმ გამოცდილების გაზიარება შესთავაზა, რომელიც საქართველოს აქვს.

შეხვედრის დასასრულს თეა წულუკიანმა სომეხი კოლეგა თბილისში მოიწვია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სომხეთის პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარქსიანს შეხვდა.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, შეხვედრა, რომელსაც სომხეთის იუსტიციის მინისტრიც ესწრებოდა, სომხეთის მთავრობის კანცელარიაში გაიმართა და მასზე მხარეებმა სამართლებრივ სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სომხეთის მთავრობის მეთაურს ქვეყანაში სამართლებრივ სფეროში გატარებული რეფორმები გააცნო.

თეა წულუკიანის განცხადებით, მართლმსაჯულების რეფორმის ერთი ეტაპი დასრულებულია. ამჯერად იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა იგეგმება.

მინისტრმა შრომის ახალ კოდექსზეც ისაუბრა. თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე დღის წინ მესამე მოსმენით შრომის ახალი კოდექსი მიიღო, სადაც, ძველი ვერსიისაგან განსხვავებით, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ინტერესთა ბალანსი დაცულია.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოსა და სომხეთს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა საჯარო პოლიტიკის არაერთ სფეროშია შესაძლებელი. ტიგრან სარქსიანმა მაგალითად სასამართლოს სისტემის რეფორმა მოიყვანა, რომელსაც ამჟამად ორივე ქვეყანა ახორციელებს.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საუბარი ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლურ და პარტნიორულ ურთიერთობებსაც შეეხო. საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ახალ ხელისუფლებას სომხეთთან საუკეთესო ურთიერთობების დამყარების იმედი აქვს.

## გიორგი მარგველაშვილი: „მაჩვენეთ საქართველოს მოქალაქე, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ კონკურენტად თვლის“

საპრეზიდენტო კანდიდატისა და განათლების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ქართულ საზოგადოებაში „ნაციონალურ მოძრაობას“ კონკურენტად არავინ თვლის.

„მაჩვენეთ საქართველოს მოქალაქე, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ კონკურენტად თვლის, არა საპრეზიდენტო არჩევნებში, არამედ, საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში. მე არა მგონია, საქართველოში არსებობდეს სერიოზული განწყობა, იმის შესახებ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ რაიმე სერიოზული პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირება შეუძლია“-განაცხადა მარგველაშვილმა.

ნიუსპრესი

## პატრიოტთა ბანაკს „მომავლის ბანაკი“ დაერქმევა და იქ მხოლოდ მოსწავლეები დაისვენებენ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის განცხადებით, პატრიოტთა ბანაკს „მომავლის ბანაკი“ დაერქმევა და იქ სტუდენტების ნაცვლად სკოლის მოსწავლეები დაისვენებენ.

როგორც ლევან ყიფიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ბოლო რამდენიმე დღეა ამ საკითხთან დაკავშირებით მიზანმიმართული, პოლიტიკურად მოტივირებული, ცილისმწამებლური და უპასუხისმგებლო კამპანია მიმდინარეობს, რომლის მიზანიც, შესაძლოა იყოს საზოგადოების განგებ შეცდომაში შეყვანა და არსებული რეალობის დამახინჯება.

მისი განმარტებით, ბანაკი შვიდის ნაცვლად 10-დღიანი იქნება, რაც პროგრამის მონაწილეებს ხარისხიანი განათლებისა და დასვენების უკეთეს საშუალებას მისცემს.

„გასულ წლებში დამკვიდრებული მონაწილეთა შერჩევის ბუნდოვანი კრიტერიუმების ნაცვლად, შემოღებულია შერჩევის სამართლიანი წესი. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნა მოთხოვნა, რომ სკოლებმა წარმოადგინონ თითო წარჩინებული მოსწავლე 14-15 წლის ასაკამდე, წარჩინებულებს შორის სოციალურად დაუცველების ან დევნილების არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტი ამ კატეგორიის ბავშვებს მიენიჭება“, —განაცხადა ყიფიანმა და დასძინა, რომ ბანაკებში სულ 2ათასამდე ბავშვი დაისვენებს. ბავშვთა კვების მენიუ ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით კვალიფიციური ექსპერტის დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა.

მისივე თქმით, ბანაკებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და მიმდინარეობს ბანაკის ტერიტორიის დასუფთავება, რათა გამოსწორდეს ის მიძმე სურათი, რაც იქ დახვდათ. ყიფიანი პრეზიდენტის გუშინდელ განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც ის ამბობს, რომ სამინისტროს წარმომადგენლებმა ძველი მაისურები გაანადგურეს.

მისი თქმით, ეს განცხადება სრული აბსურდი და ყოველგვარ ადეკვატურობას მოკლებული ბრალდებაა.

„ბანაკის საწყობის ტერიტორიაზე არის მაისურები და კეტები პატრიოტის აბრევიატურით და ნებისმიერ მსურველ ჟურნალისტს შეუძლია ჩავიდეს და საკუთარი თვალით იხილოს, რომ სახელმწიფო სახსრებით ადრე შეძენილი ქონება იქ უვნებლად არის განთავსებული. ამას მოწმობს ის ფოტოები, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ“, — განაცხადა ყიფიანმა და ანაკლიის ბანაკში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშრებით განმარტა, რომ ამ ბანაკში არსებული მდგომარეობით დასტურდება, თუ როგორი უპასუხიმგებლობით ექცეოდნენ სახელმწიფო ქონებას ყოფილი პასუხისმგებელი პირები.

მედიანიუსი

## საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მიწისძვრა მოხდა

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, გუშინ დილით 04:48 საათზე მიწისძვრა მოხდა. ბიძგი 3,5 მაგნიტუდის სიძლიერის იყო.

სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ეპიცენტრში, 10 კილომეტრის სიღრმეზე, მიწისქვეშა ბიძგები 4-5 ბალს შეადგენდა.

2-3 ბალის სიძლიერის მიწისძვრა, სომხეთის ტავუშის რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილშიც იგრძნობოდა.

ნიუსპრესი

# გურამ ოდიშარიამ არმაზის სასახლე დაასუფთავა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქციის ფარგლებში, გაიმართა დასუფთავების აქცია არმაზის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით შედგა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მინისტრმა გურამ ოდიშარიამ, მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ, მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო შარაშიძემ.

მასშტაბური გარემოსდაცვითი კამპანია მოიცავდა თბილისს და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. დასუფთავების აქციები გაიმართა 80-ზე მეტ ადგილას, მათ შორის ისტორიული და კულტურული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე, სკოლების, უნივერსიტეტების და სამედიცინო დაწესებულებების შემოგარენში, ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების საგანგებოდ შერჩეულ უბნებზე.

აქციის ორგანიზატორობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ითავა, ღონისძიებას მხარდაჭერა აღუთქვეს საქართველოს მთავრობამ და საქართველოს პარლამენტმა, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა ყველა რეგიონში, გაეროს განვითარების პროგრამამ და გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ, ამერიკის სავაჭრო პალატამ, სხვადასხვა ბიზნესკომპანიებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედია საშუალებებმა.

კულტურის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და იღებს მონაწილეობას სისხლის უანგაროდ გაცემაში ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის. სისხლის უანგარო დონორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო დონორობის რეგულარული მხარდამჭერები დააჯილდოვეს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის განსაკუთრებული მადლობა და სიგელი, სხვა სახელმწიფო და კერძო უწყებებთან ერთად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომაც მიიღო.

როგორც კულტურის სამინისტროში „ახალ თაობას" განუმარტეს, ფრანკფურტის დელეგაციის ყველა შეხვედრა საქართველოში დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია ვენეციის 55-ე ბიენალეზე საქართველოს პავილიონის შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრი გურამ ოდიშარია, პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, ხელოვნების ისტორიკოსი, პროექტის „კამიკაძე ლოჯია" მრჩეველი ნანა ყიფიანი, არტ კრიტიკოსი ხათუნა ხაბულიანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმის გამოფენების ხელმძღვანელი ლიკა მამაცაშვილი, ვენეციის ბიენალეზე საქართველოს პავილიონის პროექტში „კამიკაძე ლოჯია" მონაწილე ქართველი არტისტები, ასევე, ბიენალეზე წარსადგენ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის სამინისტროში შექმნილი კომისიის წევრები. პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა ისევე როგორც საქართველოს პავილიონის, ასევე ფორუმის ამსახველი ვიდეო და ფოტომასალა. ხელოვნების ისტორიკოსმა, პროექტის „კამიკაძე ლოჯია"-ს მრჩეველმა ნანა ყიფიანმა წარმოადგინა პრეზენტაცია და ვენეციის ბიენალეს კონტექსტში ქართული პავილიონის თავისებურებები განიხილა. ნაჩვენები იქნა „არტარეას" მიერ შექმნილი ვიდეო პრეზენტაცია ხათუნა ხაბულიანის, ნინა ახვლედიანისა და ლევან მაისურაძის ავტორობით. პრესისთვის შედგა იმ შემოთავაზებების გაცნობა, რომელიც უკვე მიიღეს პროექტში „კამიკაძე ლოჯია" მონაწილე არტისტებმა: ვარშავის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი გელა პატაშურის, სერგეი ჩერეპნინისა და ეი არაკავას აუდიო ინსტალაციით დაინტერესდა და შეძენას გეგმავს. ბრიტანეთის უელსის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა კი გამოთქვა სურვილი საქართველოს პავილიონის შესაძლო რეკონსტრუქციისა საკუთარ სივრცეში.

— საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოყვა საქართველოს პავილიონის გახსნას უცხოურ პრესაში — „ნიუ იორკ თაიმსი" არტ რევიუში სამ პავილიონს შორის საქართველოს გამოყოფს და აღნიშნავს: „სამმა ხელოვანმა გელა პატაშურმა, სერგეი ჩერეპნინმა და ეი არაკავამ საქართველოს პავილიონში ინტერაქტიული პერფორმანსი წარმოადგინეს". ხელოვნების კრიტიკის საერთაშორისო ჟურნალმა „არტფორუმი" წინასწარული მასალები გამოაქვეყნა ჯერ კიდევ საქართველოს პავილიონის გახსნამდე ვენეციის ფორუმზე და რამდენიმე სტატია მიუძღვნა ქართულ ხელოვნებასა და ქართველ არტისტებს. ხელოვნების ცნობილი კრიტიკოსი თომას ვაგნერი, გერმანულენოვან გამოცემაში წერს: „ვისთვისაც ბიენალე ზედმეტად არტისტული, ბანალური ან უბრალოდ მოსაბეზრებელია, ისინი აუცილებლად უნდა ეწვიონ „კამიკაძე ლოჯიას". „მოგზაურობა კულტურაში" ამ სათაურით აქვეყნებს ბრიტანული ინტერნეტგამოცემა სტატიას და ხაზს უსვამს საქართველოს პავილიონის თავისებურებას ვენეციის ფორუმზე: „საქართველოს ლოჯია" ვენეციის ბიენალეს სივრცის სრულ ტრანსფორმირებას ახდენს", — ითქვა პრესკონფერენციაზე.



საქართველოს პავილიონთან დაკავშირებით ბიენალეზე შედგა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის მარინე მიზანდარის ინტერვიუ გერმანულენოვანი სამაუწყებლო არხის „დოიჩე ველე"-ს კულტურული სიახლეების დეპარტამენტის უფროსთან, ჟურნალისტ რაინერ ტრაუბესთან.

სამინისტროში შედგა მრგვალი მაგიდა „კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედების" საკითხთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას, შესაბამისი გარემოს შექმნის მიზნით. შეხვედრაზე განხილული იქნა ეროვნული კულტურის ხელშეწყობის მექანიზმები, საქველმოქმედო საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და ეროვნული ლატარიის საკითხი. სამომავლო ინიციატივის გაცნობის მიზნით, შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილი, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნუკრი ქანთარია, საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები, ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე პირები. როგორც შეხვედრის დასასრულს ითქვა, უახლოეს დღეებში გაიმართება კიდევ ერთი მრგვალი მაგიდა, სადაც მონაწილეობას მიიღებს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული თითქმის ყველა სსიპ-ი, სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლები, მათ შორის სამხატვრო აკადემია.

სამინისტრო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მეექვსე საერთაშორისო გამოფენაშიც ჩაერთო, რომელიც საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია" გაიხსნა. გამოფენა ოფიციალურად გახსნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა.

— საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ორგანიზებით გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა ქართული ხალხური რეწვის ის ტრადიციები, რომელიც საქართველოში ღვინის წარმოებას ასახავს, გამოფენაზე დამთვალიერებელს საშუალება მიეცა ენახა ტრადიციული ქართული თიხის ქოთნის ამოყვანის პროცესი. ასევე, ქართული ტექსტილის, ნაქარგობის, არქელოგიის ის ნიმუშები, რომლებიც ღვინის თემას უკავშირდება. აღნიშნულ ღონისძიებებში 25-მდე მხატვარი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც, — განაცხადა მანანა ბერიკაშვილმა.

ფესტივალში მონაწილეობა 60-მდე სხვადასხვა ორგანიზაციამ მიიღო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საუკეთესო ქართული ღვინო და ქართული ტრადიციებით დამზადებული ყველი, ღვინის ტურიზმი, ღვინის აქსესუარები და ქართული რეწვის უნიკალური ნიმუშები. ცნობილი ღვინის მწარმოებლების გვერდით გამოიფინა მცირე და ოჯახური მარნები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ძველი ქართული ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ყველი, დამთვალიერებელმა დააგემოვნა ქვევრის ღვინო და მათი ნაირსახეობები. გამოფენის პარალელურად, ჩატარდა ქვევრის ღვინის სიმპოზიუმი, დისკუსიები, ღვინის საერთაშორისო კონკურსი და დაჯილდოების ცერემონია.

თქმით, წიგნში ვრცლადაა აღწერილი გიორგი შენგელაიას ცნობილი ფილმის „ახალგაზრდა კომპიზიტორის მოგზაურობის" გადაღების პერიპეტიები. სწორედ, ამ ფილმის გადაღებებისას შეხვდნენ ერთმანეთს ერლომ ახვლედიანი, როგორც კინოსცენარისტი და ოთარ ჩხეიძე, როგორც ავტორი რომანისა „ბორიაყი", რომლიც შეფარულად 24 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ მოგვითხრობს. 24 წელი მტკივნეულად შეეხო არა მხოლოდ ოთარ ჩხეიძის, არამედ ერლომ ახვლედიანის ოჯახსაც, სწორედ ამ საერთო სათქმელმა გააერთიანა და წარმატება მოუტანა შესანიშნავ შემოქმედებით ტანდემს — ოთარ ჩხეიძეს, ერლომ ახვლედიანსა და ისეთ გამორჩეულ კინორეჟისორს, როგორიცაა გიორგი შენგელაია. ამ ფილმმა 1986 წელს ბერლინალეს საერთაშორისო ფესტივალზე ვერცხლის დათვი მიიღო.

გურამ ოდიშარია სამინისტროს ბენეფიციარებთან შეხვედრებს აგრძელებს. შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალია. მეცამეტე საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე" უკვე გაიმართა, იგეგმება მეთოთხმეტე კინოფესტივალის ჩატარება. ამ წარმატებულ პროექტთან დაკავშირებით მინისტრს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი გაგა ჩხეიძე ეწვია. ყოველწლიურად კინოთეატრ „ამირანსა" და „რუსთაველში" 100-ზე მეტი მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების ჩვენება ეწყობა. კინოკლასიკებს შორის ხშირად რამდენიმე ქართული ფილმიც ხვდება. ყოველ წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს კინოს სამყაროს არაერთი ცნობილი წარმომადგენელი სტუმრობს, მათ შორის, რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები და პროდიუსერები.

გურამ ოდიშარია კულტურათა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა—ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# თბილისის თასი აფრიკაში წავიდა



**საქართველო – სამხ. აფრ. საპრეზიდენტო 16:21**

საქართველო: ირაკლი ყიასაშვილი, ბექა წიკლაური, დავით კაჭარავა, თამაზ მჭედლიძე (რევაზ ჯინჭველაშვილი 80), ალექსანდრე თოდუა (ზურაბ ძნელაძე 65), ლაშა მალაღურაძე, ვაჟა ხუციშვილი (გიორგი როხვაძე 65); ანტონ ფეიქრიშვილი (ჩილაჩავა 75), შალვა მამუკაშვილი (რევაზ ბელქანია 41), ლევან ჩილაჩავა (გიორგი თეთრაშვილი 54), ვახტანგ მაისურაძე (სიმონ მაისურაძე 62), კონსტანტინე მიქაუტაძე, გიორგი ნემსაძე, გივი ბერიშვილი (გიორგი თხილაიშვილი 22), ბექა ბიწაძე

ეს იყო საქართველოს ნაკრების საუკეთესო თუ არა, ერთ ერთი საუკეთესო მატჩი ტურნირზე, ამასთან, ექსპერიმენტული შემადგენლობით. მილტონ ჰეიგი მეთოდურად აგრძელებს ნაკრებში ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეების გამოცდას, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად გამართლებულია მომავალი მსოფლიო თასისათვის გუნდის მომზადების სტრატეგიიდან გამომდინარე.

უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, ჩვენმა ნაკრებმა ტოლი არ დაუდო ტურნირის უდაო ფავორიტს და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ სარგებლობს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად პროგრესირებადი გუნდის რეპუტაციით.

თამაშის ბედი აფრიკელთა სასარგებლოდ: აუტში აშკარა უპირატესობამ (14-იდან 8 ჩვენი აუტი წავაგეთ!), ღია თამაშში ნაკლებმა ტექნიკურმა წუნმა და უკეთესმა სათამაშო დისციპლინამ (ჯარიმების ანგარიში 11:7 აქედან მეორე ტაიმში 6:2) განაპირობა.

ამ კომპონენტებში უპირატესობამ განსაკუთრებით თამაშის ბოლო მეოთხედში იჩინა თავი. ჩვენებმა, ისევე, როგორც ირლანდიელებთან, მეტოქეს მატჩის მიწურულს მისცეს დაწინაურების საშუალება. თუმცა, ჩვენი ნაკრების თამაშში აშკარად ჩანდა სწრაფვა უფრო დინამიური და უწყვეტი თამაშისაკენ და უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ წარმატებითაც ვახერხებდით ჩანაფიქრის განხორციელებას. ერთი სიტყვით, ტურნირი, როგორც საორგანიზაციო, ისე სპორტული თვალსაზრისით აშკარად აქტივში უნდა ჩავუთვალოთ ფედერაციასა და ნაკრებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს და ესაა მთავარი. ქართული რაგბის გულშემატკივრებს თბილისის თასის მოგების იმედი ჰქონდა და პრინციპში, რეალურად, მეტოქეთა ძალის გათვალისწინებით, ამის შესაძლებლობაც იყო, მაგრამ...

დებიუტანტებმა ისე ითამაშეს, რომ თასის თბილისში დატოვების იმედი გააჩინეს, მაგრამ გამოცდილება და კიდევ ბევრი რამ არ ეყოთ. და რა არის, ეს ბევრი რამ? როცა შენივე მოწოდებულ აუტს აგებ და თანაც იმაზე ხშირად, ვიდრე იგებ; როცა უაზროდ ჯარიმდები და თანაც შეტევაში; როცა არ ფიქრობ საკუთარი შეცდომების გამოსწორებაზე, მაშინ მოგების შანსი მეტოქის ხელშია.

აფრიკელები ორი ჯარიმით დაწინაურდნენ და მალევე კოტე მიქაუტაძის უხეში ბოჭვისთვის სინბინის გამო მეტობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ ქართველებმა მოინდომეს, მსაჯს ჯარიმა გამოსტყუეს და ბექა წიკლაურმა ზუსტად დაჰკრა.

მალევე აფრიკელებმა ლაშა მალაღურაძეს დაუფარეს და ლელოს გადავრჩით, მაგრამ მერე დავით კაჭარავას მოკლე გადაკიდებულზე მეტოქემ უხეშად ითამაშა და თავადაც დაისაჯა სინბინით.

სანამ გუნდები ნაკლული იყვნენ, საქართველოს ნაკრებმა იშვიათი მოგებული დერეფნით ისარგებლა, ბიჭებმა მოლით მეტოქე 20 მეტრი არბენინეს და ლევან ჩილაჩავამ ლელო მიითვალა. წიკლაურმა გარდასახვა ზუსტად გამოიყენა და 10:6.

მალევე მეტოქეებმა ჯარიმები გაცვალეს, მერე მასპინძელთა დაცვის ზღუდეში ნაპრალი გაჩნდა, ლელო გაუშვეს და ტაიმი 13:16 დათმეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში სწრაფ ლელოს გადავრჩით, მერე თითქოს თამაში დალაგდა და წონასწორობაც აღდგა (16:16), მაგრამ მეტოქე ორგანიზაციაში გვჯობდა და ლელო გაიტანა. აფრიკელებმა გარდასახვის და ჯარიმის არგატანით, შანსი დაგვიტოვეს, მაგრამ მათი გამოყენება ვერ მოხერხდა და თამაშიც 16:21 დასრულდა.

**მატჩის შემდეგ**

**მილტონ ჰეიგი (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):**

– დღეს მოედანზე გასულმა ბიჭებმა თავი დადეს და ნასიამოვნები ვარ. ყველა ფიქრობდა, რომ ამ შემადგენლობით დიდი სხვაობით დავმარცხდებოდით, მაგრამ ასე არ მოხდა. წაგების მიზეზი ბევრია – დერეფანი, ჯარიმები, ამ ყველაფერზე ვარჯიშებზე უნდა ვიმუშაოთ. რაც მთავარია, გამოცდილება მივიღეთ და მას სამომავლოდ გამოვიყენებთ.

**სიმონ მაისურაძე:**

– სწორედ ასეთ თამაშებში ვიღებთ გამოცდილებას და ეს მნიშვნელოვანია. პოზიციის ცვლა გამიჭირდა, მაგრამ მთავარია საქართველოს გამოვადგე.

ჯიმი სთოუნჰაუსი (სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო თხუთმეტეულის მთავარი მწვრთნელი):

– დღევანდელი თამაშის ბედი ქარმა გადაწყვიტა, რომელსაც ალლო ჩვენ უფრო ავუღეთ. კარგი იყო საქართველოს უძლიერეს ნაკრებთან გვეთამაშა, მაგრამ რაც მთავარია, საჭირო გამოცდილება მაინც მივიღეთ.

**ბრენდან სნეიმანი (სამხრეთ აფრიკის კაპიტანი):**

– მე არ ვიცი საქართველოს ვინმე აკლდა თუ არა. შერკინებაში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ სასურველ გამარჯვებას მივაღწიეთ.

**ურუგვაი – მზარდი ირლანდია 33:42**

თამაში საკმაოდ დინამიური და სანახაობრივი გამოვიდა. გუნდები, რომლებსაც არავითარი პრაგმატული მოტივაცია აღარ გააჩნდათ, მაყურებლის გასახარად, ლაღ და სასიამოვნოდ საცქერ რაგბის თამაშობდნენ. საკმარისია ითქვას, რომ მთელი მატჩის მანძილზე არც ერთ გუნდს კარში არც ერთი ჯარიმა არ დაურტყამს. სტადიონზე დარჩენილმა გულშემატკივარმა „ლელოების წვიმა“ იხილა.

მატჩის დასაწყისი ურუგვაელებს კარგს არაფერს უქადდა მათ დაახლ. 10 წუთის მანძილზე 2 სწრაფი ლელო გაუშვეს, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ, მიღებული ლელოების შემდეგ უფრო გააქტიურდნენ და ბოლომდე შეუნარჩუნეს ინტრიგა თამაშს. მატჩის ბოლოს სტადიონზე მოსულმა გულშემატკივარმა სრულიად დამსახურებული ტაშით დააჯილდოვა ორივე გუნდი. ირლანდიელებმა ტაშის გარდა ტურნირის მეორე საპრიზო ადგილიც დაიმსახურეს, ხოლო ურუგვაელები საბოლოოდ მე-4 ადგილს დასჯერდნენ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 77-33 | 13 |
| 2.ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 70-67 | 9 |
| 3.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 58-44 | 6 |
| 4.ურუგვაი | 3 | 0 | 0 | 3 | 45-106 | 1 |

# კონფედერაციის თასზე ფავორიტები იგებენ

**ესპანეთი – ურუგვაი 2:1**

**რესიფე.** პერნამბუკანო. 41.705 მაყურებელი

1:0 პედრო (20), 2:0 სოლდადო (32), 2:1 სუარესი (88)

**ესპანეთი:** კასილიასი, არბელოა, რამოსი, პიკე, ალბა, ბუსკეტსი, ჩავი (მარტინესი 76), ინიესტა, პედრო (მატა 81), ფაბრეგასი (კასორლა 64), სოლდადო

**ურუგვაი:** მუსლერა, პერეირა, ლუგანო, გოდინი, კასერესი, რამირესი (გონსალესი 46), გარგანო (ლოდეირო 63), პერესი (ფორლანი 69), როდრიგესი, სუარესი, კავანი

ესპანეთის ნაკრებმა კონფედერაციის თასი მოგებით დაიწყო. მოქმედმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა დამაჯერებლად მოუგეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონს. ამის საწინდარი ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდების შესანიშნავად ჩატარებული პირველი ტაიმი გახდა. ურუგვაელებმა კი თავისი თამაში ნამდვილად ვერ აჩვენეს და „ფურია როხას“ ვერაფერი დაუპირისპირეს. თავის შესაძლებლობებზე ცუდად ითამაშეს ედისონ კავანიმ და ლუის სუარესმა. მართალია, სუარესმა მოახერხა და პრესტიჟის გოლი გაიტანა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მე-20 წუთზე, პედროს მიერ საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი გზად დიეგო ლუგანოს შეეხო და რიკოშეტის წყალობით კარში აღმოჩნდა – 1:0.

12 წუთში, ფაბრეგასის პასის შემდეგ დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა სოლდადომ სანაკრებო ტურნირის ფინალურ ეტაპზე თავისი პირველი გოლი გაიტანა და გუნდს სოლიდური უპირატესობა მოუტანა.

სიტუაცია 69-ე წუთზე შეიცვალა, როდესაც მოედანზე დიეგო ფორლანი შევიდა. ვეტერანმა ურუგვაელმა გუნდის თამაში გამოაცოცხლა, მაგრამ მატჩის გადარჩენა არ მოხერხდა. 88-ე წუთზე, ლუის სუარესმა საჯარიმო ისე დაარტყა, იკერ კასილიასს შანსი რომ არ ჰქონია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: პედრო როდრიგესი

კარგი მატჩი გამოუვიდა ესპანელთა თავდამსხმელს. პედრომ დიდი სამუშაო გასწია და შეტევის ხაზზე თითქმის ყველგან იყო – მარჯვნივ, ცენტრში, მარცხნივ. განსაკუთრებით სახიფათო ფლანგებიდან იყო, საიდანაც გამჭოლ პასებს არიგებდა. აქტიურობისთვის გოლითაც დაჯილდოვდა, თუმცა დიეგო ლუგანოც წაეხმარა.

**ვისენტე დელ ბოსკე:**

– კარგი თამაში გამოვიდა და თითქმის მთელი მატჩის მსვლელობისას ჩვენ ვდომინირებდით. არ მომეწონა მხოლოდ დასასრული, როდესაც მეტოქემ საკუთარ კარს მიგვაჯაჭვა. ვფიქრობ, ეს არ უნდა დაგვეშვა. ურუგვაიმ რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა და სერიოზულად გვანერვიულა. მთლიანობაში, ჩემი შეგირდები სწორედ მოქმედებდნენ: კარგად იცავდნენ თავს, სწრაფი გოლი გაიტანეს და კარგ კომბინაციებს ახორციელებდნენ. ვფიქრობ, რეალიზაციაზე მოგვიწევს მუშაობა.

**მექსიკა – იტალია 1:2**

**რიო დე ჟანეირო.** მარაკანა. 73.123 მაყურებელი

0:1 პირლო (27), 1:1 ერნანდესი (34პ), 1:2 ბალოტელი (78)

**მექსიკა:** კორონა, ფლორესი, მასა, მორენო, სალსიდო, სავალა (ხიმენესი 86), ტორადო, აკინო (მიერი 53), დოს სანტოსი, კუარდადო, ერნანდესი

**იტალია:** ბუფონი, აბატე, ბარძალი, კიელინი, დე შილიო, დე როსი, პირლო, მონტოლივო, ჯაკერინი (აკვილანი 88), მარკიზიო (ჩერჩი 68), ბალოტელი (ჯილარდინო 86)

კარგად დაიწყო კონფედერაციის თასი იტალიელებისთვისაც. ჩეზარე პრანდელის გუნდი მარტო მოგებას არ დაჯერდა და საკმაოდ სიმპათიური ფეხბურთი ითამაშა. ცოტა უფრო იღბლიანები რომ ყოფილიყვნენ საგოლე მომენტების რეალიზაციაში, ანგარიში, შესაძლოა, გამანადგურებელი ყოფილიყო. რომ არა ბარძალის უხეში შეცდომა, გოლსაც არ გაუშვებდნენ.

ძალიან აქტიურად გამოიყურებოდა ფლანგები, ცენტრში დანიელე დე როსი და ანდრეა პირლო მართავდნენ სიტუაციას, წინ კი ჩვეულად მოძრაობდა მარიო ბალოტელი. მარტო საწყის 10 წუთში მარიომ 4-ჯერ დაარტყა კარში სახიფათოდ.

მექსიკელები უფრო კონტრშეტევებზე თამაშობდნენ და ეს ძირითადად დოს სანტოსისა და გუარდადოს ტექნიკის ხარჯზე ხდებოდა. მეორე ტაიმის საწყის წუთებში შეძლეს თამაშის გათანაბრება, მაგრამ, დროებით. იტალიამ ისევ იგდო ხელთ უპირატესობა და საქმე სასურველ შედეგამდე მიიყვანა.

27-ე წუთზე, ანდრეა პირლომ საჯარიმო დარტყმა მისთვის ჩვეულად შეასრულა, რასაც კორონას მცირე შეცდომა მოჰყვა და ანგარიში გაიხსნა. ამ დარტყმის წყალობით, ანდრეა პირლო გახდა მე-2 ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი, რომელმაც კონფედერაციის თასზე გოლი გაიტანა. ის, ამ დროისთვის, 34 წლისა და 28 დღის იყო. მასზე უფრო ხანდაზმულ ასაკში (38 წლის და 129 დღის) გოლის გატანა მხოლოდ ლოთარ მათეუსმა მოახერხა. ეს 1999 წელს მოხდა. ცნობისთვის, პირლოსთვის ეს ნაკრებში ჩატარებული მე-100 თამაში იყო.

მალევე, ბარძალიმ ჯოვანი დოს სანტოსთან ორთაბრძოლა წააგო, ხოლო საჯარიმოში შესული მეტოქე წააქცია და ხავიერ ერნანდესს თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა.

78-ე წუთზე, ჯაკერინის გადაცემის შემდეგ, ბალოტელიმ ჯერ ერთ, ხოლო შემდეგ ორ მეტოქესთან ბრძოლაში იმარჯვა და ზუსტი დარტყმით, გუნდს მნიშვნელოვანი 3 ქულა მოუტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: პირლო**

ძალიან ბევრი ვერსია გვქონდა, მაგრამ პირო გამოვარჩიეთ. თუნდაც იმიტომ, რომ იუბილარი იყო და ნაკრებში მე-100 მატჩი ჩაატარა. თუმცა, ვერავინ იტყვის, რომ არ იმსახურებდაო. ჭკვიანად და უნარიანად ხელმძღვანელობდა მისი გუნდის შეტევებს. შეასრულა ძალიან ბევრი სამუშაო და არც შავი საქმის გაკეთებას ერიდებოდა.

**ანდრეა პირლო:**

– განსაკუთრებული შეგრძნებაა, როდესაც ნაკრების მაისურით მე-100 შეხვედრას ისტორიულ „მარაკანაზე“ ატარებ და ამასთან, გოლი გაგაქვს. ეს სწორედ ის იყო, რაზეც ბავშვობაში მხოლოდ ოცნება შემეძლო. ადვილი სულაც არ იყო ასეთ სიცხეში და ასეთ ატმოსფეროში თამაში, მაგრამ პირველი მატჩი მუდამ ფუნდამენტურია, რადგან სწორედ აქედან მოდის თავდაჯერებულობა, რაც ტურნირის მომდევნო შეხვედრებში გეხმარება. მთელი თამაშის განმავლობაში ტორსიდა ჩემ გვარს სკანდირებდა. სასიამოვნოა, როდესაც ბრაზილიელ ჩემპიონებს გადარებენ. მე უკვე შემარქვეს „პირლინიო“.

**ჩეზარე პრანდელი:**

– მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში გათანაბრდა, არ შეგვშინებია, რადგან გვწამდა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა. უბრალოდ, ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო. რაც მთავარია, სწორად ვითამაშეთ და მუდამ ვქმნიდით დაძაბულობას მეტოქის კართან. ამ შემთხვევაში უმთავრესი ის კი არაა, რომ მოვიგეთ, არამედ ის, თუ როგორ ვითამაშეთ ამ მოგების მისაღწევად.

**ბრაზილია – იაპონია 3:0**

**ბრაზილია.** ნაციონალური არენა

1:0 ნეიმარი (3), 2:0 პაულინიო (48), 3:0 ჟო (90)

**ბრაზილია:** სეზარი, ალვესი, სილვა, ლუისი, მარსელო, გუსტავო, პაულინიო, ფრედი (ჟო 81), ნეიმარი (ლუკასი 74), ოსკარი, ჰალკი (ერნანესი 75)

**იაპონია:** კავასიმა, ნაგატომო, უჩიდა, კონო, იოსიდა, ჰონდა (ინუი 89), ენდო (ჰოსოგაი 78), კიოტაკე (მაედა 51), კაგავა, ჰასებე, ოკაზაკი

ტურნირის დაწყებამდე ბრაზილიის ნაკრების ყველა ფეხბურთელი ამბობდა, რომ კონფედერაციის თასისთვის განსაკუთრებით მოემზადნენ. ეს დამტკიცდა კიდეც ამხანაგურ მატჩებში. ინგლისთან ორბურთიანი ჩამორჩენა გააბათილეს, ხოლო ფრანგებთან ქვა-ქვაზე არ დატოვეს და 3:0 მოუგეს.

ასეთივე ანგარიშით იმარჯვეს მასპინძლებმა გახსნის მატჩშიც: ტურნირის პირველი გოლი ბრაზილიელთა უმთავრესმა იმედმა ნეიმარმა მიითვალა, რომელმაც ლამაზად გათამაშებული კომბინაცია ეფექტური და, რაც მთავარია, შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა. ამის შემდეგ, ბრაზილიელებმა კიდევ რამდენჯერმე შეუტიეს სახიფათოდ, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიშის გაზრდა ვერ შეძლეს.

სამაგიეროდ, მე-2 ტაიმის დებიუტში, დანი ალვესის ჩაწოდებული ბურთი პაულინიომ გაიტანა – 2:0. ხოლო მატჩის მიწურულს ოსკარმა იდეალური პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა ჟო, რომელმაც ტაბლოზე 3:0 დააფიქსირა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ნეიმარი**

აქაც ძალიან ბევრი ფეხბურთელის ვერსია გვქონდა. ფლანგის მცველები, ოსკარი, რომელმაც ბევრი პრობლემა შეუქმნა მეტოქეს, მაგრამ მაინც ნეიმარი გამოვარჩიეთ – ინდივიდუალურადაც და გუნდურადაც ნეიმარი საუკეთესო იყო. პირველი გოლი მის მიერ იქნა გატანილი, მეორე გოლშიც მიიღო მონაწილეობა.

# დილამ თამაში დაიწყო, ვიტ ჯორჯიამ – ვარჯიში

საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე გორის „დილამ“ მოსამზადებელ ეტაპზე პირველი ამხანაგური მატჩი საჩხერის „ჩიხურას“ დუბლშემადგენლობასთან ჩაატარა და 2:0 გაიმარჯვა. ამის შესახებ კლუბის ვებგვერდი იუწყება.

შეხვედრა გორელთა უპირატესობით წარიმართა. „დილა“ განსაკუთრებით პირველ ნახევარში აქტიურობდა, რაც მეტოქის კარში გატანილ ორ გოლში აისახა. ამ მატჩში დუბლის ავტორი რომან გოგინაშვილი გახდა, რომელმაც ჯერ თენგიზ წიქარიძის ინდივიდუალური გარღვევისა და ზუსტი გადაცემის შემდეგ შეძლო მეტოქის კარის აღება, რომელსაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეკარე გაბრიელ თებიძე იცავდა. მეორე გოლი გოგინაშვილმა საჯარიმოს გარედან მოხდენილი დარტყმით გაიტანა.

მეორე ნახევარში გამოსარჩევი მომენტი არც ერთ კართან არ ყოფილა. თუმცა, მატჩის მიწურულს საჩხერლებს შეეძლოთ ანგარიშში სხვაობის შემცი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**ფეხბურთი**

**კონფედერაციის თასი**

მექსიკა-იტალია ........ 1:2
ესპანეთი-ურუგვაი ........ 2:1

**მს-2014. შესარჩევი ეტაპი**

**აფრიკა**

ტანზანია-კოტ დივუარი ........ 2:4
მოზამბიკი-ეგვიპტე ........ 0:1
ლესოტო-განა ........ 0:2
ეთიოპია-ს.აფრიკა ........ 2:1
რუანდა-ალჟირი ........ 0:1
დრ კონგო-კამერუნი ........ 0:0
ლიბერია-სენეგალი ........ 0:2
ეკ.გვინეა-ტუნისი ........ 1:1
გვინეა-ზიმბაბვე ........ 2:0
მალი-ბენინი ........ 2:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი ოფი**

ალმერია-ლას პალმასი ........ 2:1(დდ)
ხირონა-ალკორკონი ........ 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვპტ-ტპს ........ 0:0
ინტერი-მიუპა ........ 0:0
კუუპიო-იარო ........ 3:0
ლახტი-როვანიემი ........ 0:0
ჰონკა-ჰიკი ........ 1:0
ჯჯკ-მარიეჰამნი ........ 3:2

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

უნიონი-ველეჟი ........ 1:1
რაფაელა-ოლდ ბოიზი ........ 0:3
ოლ ბოიზი-რასინგი ........ 0:1
ბოკა-სარანდი ........ 1:0
ლანუსი-რივერ პლეიტი ........ 5:1

**კალათბურთი**

**ნბა. ფინალი**

სან ანტონიო-მაიამი ........ 114:104
სერიის ანგარიში: ........ 3:2

**ჩოგბურთი**

**ატპ. ჰალე.**

**ფინალი**

ფედერერი-იუჟნი 6:7;6:3;6:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რეზო ჩხეიძეს მოსკოვში შეხვედრა მოუწყვეს

ეკა ირემაშვილი



ქართველ კინორეჟისორს რეზო ჩხეიძეს რუსეთის დედაქალაქში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ღონისძიების ორგანიზატორი „საქართველოს ხალხთა ასამბლეაა“, რომელსაც გოჩა ძასოხოვი ხელმძღვანელობს.

საღამო მოსკოვის სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის“ „ალექსანდრეს დარბაზში“ შედგა და მას საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. ამავე შეხვედრაზე გაკეთდა ოთხი წლის ანალიზი, რაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“.

– 4 წლის წინ ქალაქ სოჭში, ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქის მონაწილეობით შეკრებილ დარბაზში პირველი სიტყვა სწორედ ჩვენმა სასიქადულო რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ წარმოთქვა. საუბარი შეეხო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. განსაკუთრებული მსჯელობა შედგა „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ სამომავლო გეგმებთან და ყოველთა ქართველთა კონგრესთან დაკავშირებით, რომლის მოწვევის ინიციატივა ჯერ კიდევ 1994 წელს ეკუთვნოდა რეზო ჩხეიძეს და ამჟამად უკვე მიმდინარეობს დიდი მუშაობა ახალი კონგრესის მოწვევისათვის. ჩვენს ამჟამინდელ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქართულ-რუსულ ურთიერთობებსაც, ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მოვლენებს, – განუცხადა გოჩა ძასოხოვმა იქ შეკრებილ ჟურნალისტებს.

რეზო ჩხეიძე რუსეთის დედაქალაქში ერთი თვით გაემგზავრა. სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის პარალელურად, რეჟისორი თავის პროფესიაშიც აპირებს სიახლეების დაგეგმვას.

– ეს შეხვედრა გეძღვნებათ თქვენ, თქვენს შემოქმედებას, თქვენს ხელოვნებას, თქვენს პატრიოტულ განწყობასა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. თქვენს ქართული სახელმწიფოს ბერმუხა ხართ, რომელიც მომავალ თაობებს ჭეშმარიტ გზას უჩვენებს, – ასე მიმართა შეხვედრაზე რეჟისორს გოჩა ძასოხოვმა.

– ვულოცავ მთელ საქართველოს იუნესკოს გადაწყვეტილებას, იუნესკოს ეგიდით „ჯარისკაცის მამის“ შექმნიდან 50 წლისთავის მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშვნის თაობაზე, – განმარტა გოჩა ძასოხოვმა.

რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ 50 წლის იუბილეზე ფერადი ვერსიითაც გამოიცა. მისი პრემიერა ჯერ მოსკოვში გაიმართა, ხოლო შემდეგ – თბილისში, სადაც ბევრი საპატიო სტუმარი ჩამოვიდა. „ჯარისკაცის მამის“ ფერადი ვერსიის პრემიერას დაემთხვა რეზო ჩხეიძის სახელობის ვარსკვლავის გახსნა, მაგრამ ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო, ეს ცერემონიალი ორი კვირით გადაიდო.

რეზო ჩხეიძის შემოქმედება არაერთი თაობისთვის კინოსამყაროში მიმართულების განმსაზღვრელი გახდა. მის მიერ შექმნილი ფილმები მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო პრესტიჟული კინოფესტივალების გამარჯვებულია. რეზო ჩხეიძის შემოქმედებაზე გამოიცა წიგნები, მისი სტუდენტების მიერ გადაღებულ იქნა ფილმები, რეჟისორის 85 წლის იუბილეს გამოფენა მიეძღვნა საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმში, ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში. ამჟამად ხელოვანი 86 წლისაა და ასაკის მიუხედავად, კიდევ აქვს სამომავლო გეგმები, რომელიც, რა თქმა უნდა, კინოს უკავშირდება. ეროვნულმა მუზეუმმა გადაწყვიტა გამოჩენილ კინორეჟისორებზე გადაიღოს ფილმები, სადაც თავად რეჟისორები მოყვებიან მათ მიერ გადაღებული ფილმების შექმნის ისტორიას. პირველი ამ პროექტის მონაწილე რეზო ჩხეიძე აღმოჩნდა, რომელიც მის მიერ შექმნილ ლეგენდარულ ფილმებზე „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „მაგდანას ლურჯა“ თუ სხვა ცნობილ კინოსურათებზე საინტერესო მომენტებს იხსენებს.

– ამაზე დიდი საჩუქარი ხელოვანისთვის არ არსებობს, როცა საზოგადოებას უყვარხარ და გაფასებს, – განაცხადა რეჟისორმა მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე.

# დააბრუნეთ ნიკოლოზ ცისკარიძე დიდ თეატრში!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჯაროდ გააკრიტიკა ხელმძღვანელობა დიდი თეატრის ისტორიული სცენის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მასშტაბურ დარღვევებში და მოცეკვავეებზე ზეწოლაში. თავის მხრივ დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ მოცეკვავე პრესასთან აქტიურ ურთიერთობაში და მათ მიმართ მიზანმიმართულ ინტრიგებში დაადანაშაულა, თანაც მაქსიმალურად შეამცირა რეპერტუარში ის სპექტაკლები, რომლებშიც ნიკოლოზ ცისკარიძეა დაკავებული. დიდი თეატრის პრემიერმა ორჯერ მიიღო საყვედური პირად საქმეში და ორივე პრესისთვის მიცემული ინტერვიუების გამო, რომლებიც ხელმძღანელობას არ შეუთანხმა. ნიკოლოზ ცისკარიძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმე აღძრა დიდი თეატრის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პირად საქმეში შეტანილი საყვედურების გამო. სასამართლომ მოცეკვავის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საბოლოოდ ასეთი განაჩენი გამოიტანა: ერთი საყვედური გაუქმდა, მეორე კი, რომელიც შეეხებოდა ნიკოლოზ ცისკარიძის მიერ ბიბისისთვის მიცემულ ინტერვიუს, ძალაში დარჩა. მოცეკვავემ განაცხადა, რომ განაჩენით კმაყოფილი არ არის და სარჩელს აუცილებლად გაასაჩივრებდა. საბოლოოდ მან შეწყვიტა კიდეც პრესასთან ყველანაირი ურთიერთობა, რომ დიდ თეატრში ადგილი არ დაეკარგა, მაგრამ როგორც ჩანს, მოცეკვავეს ამანაც არ უშველა.

მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელზე სერგეი ფილინზე თავდასხმა მოხდა. მაშინ ამაში თეატრის ხელმძღვანელობამ ნიკოლოზ ცისკარიძე დაადანაშაულა და თავდასხმაში თანამონაწილეობაში დასდო ბრალი. რუსული გამოცემების ნაწილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მოცეკვავის აზრით, დიდი თეატრის პრესსამსახური და გენერალური დირექტორი ანატოლი ისკანოვი ამ შემთხვევას პირადი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ და ამაში თეატრში მომუშავე ადამიანებს დაადანაშაულებდნენ. მაშინ დიდი თეატრის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არანაირ ბინძურ კამპანიას არ აწარმოებენ ნიკოლოზ ცისკარიძის წინააღმდეგ.

ნიკოლოზ ცისკარიძემ მისთვის კონტრაქტის შეწყვეტას დევნა უწოდა. დიდი თეატრის პრემიერი ასეთ დასასრულს ელოდა კიდეც.

– ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი სიტყვა მიესადაგება – დევნა, – განაცხადა მოცეკვავემ და ჟურნალისტებს უარი უთხრა დამატებითი კომენტარის გაკეთებაზე.

ქართველი მოცეკვავე დიდ თეატრში უკვე 20 წელზე მეტია მოღვაწეობს, მას წამყვანი პარტიები აქვს შესრულებული მსოფლიოში ცნობილ საბალეტო სპექტაკლებში და არაერთი საერთაშორისო აღიარებაც აქვს მოპოვებული. მან დიდი თეატრში პირველმა შეასრულა კვაზიმოდოს პარტია ბალეტში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, რომელიც 10 წლის წინ როლან პეტიმ დადგა. უკვე 9 წელია ნიკოლოზ ცისკარიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მოსკოვის ქორეოგრაფიულ აკადემიაში და უძღვება მასტერკლასებს დიდ თეატრში. ამჯერად კი მოცეკვავე საქმის გარეშე დარჩა და დიდ თეატრში ახალი სეზონიდან აღარ იმუშავებს.

ეკა ირემაშვილი

# გურამ ოდიშარიამ არმაზის სასახლე დაასუფთავა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

შორისი დიალოგის მეორე მსოფლიო ფორუმშიც ჩაერთო. ბაქოში გამართულ ფორუმში მინისტრთან ერთად მონაწილეობა მიიღო მისმა მრჩეველმა თეონა დოლენჯაშვილმა. ფორუმის მთავარ თემად შეირჩა „ვიცხოვროთ ერთად და მშვიდობიანად მარავალფეროვან მსოფლიოში“, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 30-მდე მინისტრი დაესწრო. ფორუმი გაიმართა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის პატრონაჟით და აზერბაიჯანის იუნესკოსთან, გაეროს ცივილიზაციების ალიანსთან, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან, ევროპის საბჭოსთან და ევროპის საბჭოს ჩრდილოეთ-სამხრეთის ცენტრთან თანამშრომლობით.

ფორუმის პროგრამა ითვალისწინებდა რამდენიმე სესიის ჩატარებას თემებზე „როგორ ავაშენოთ ერთად მსოფლიოს მომავალი“, „როგორ უზრუნველვყოთ საზოგადოების ჩართულობა კულტურათაშორისი მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით“, „გლობალიზაციის ახალი ერა: ჰიბრიდულობა კულტურაში ცვალებადი მსოფლიოს ფონზე“, „კულტურათაშორისი საქმიანობის ხელშეწყობა“ და თანმდევი ღონისძიებების მომზადება პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით, მათ შორის „გააკეთე თუნდაც მცირედი მრავალფეროვნებისა და ჩართულობის კუთხით“, ასევე, ამავე პროგრამაში იგულისხმებოდა კულტურათაშორისი ინოვაციის დაჯილდოვების ცერემონია ცენტრალური აზიის, შავი ზღვის და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში, „დამწყებ ლიდერთა“ პირველი სამიტი, კონფერენცია „გლობალურ კულტურათაშორის ქალაქებში სასწავლო თანამეგობრობის გლობალური ქსელი“, ვორქშოპი „კულტურათაშორისი დიალოგი ისტორიის შესწავლის კუთხით: საუკეთესო პრაქტიკა და გამოწვევები“, სესიები „ტურიზმი, როგორც კულტურათაშორისი შემწყნარებლობის და ურთიერთთანხმობის მთავარი მამოძრავებელი ძალა“, „კულტურათაშორისი დიალოგი რწმენისა და მეცნიერების კუთხით“, კულტურათაშორისი კომპეტენციების განსაზღვრა 21-ე საუკუნეში და სხვა მნიშვნელოვანი თემები.

# ფინანსთა მინისტრმა შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრი გახსნა



გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და შემოსავლების სამსახურის უფროსმა ლაშა ხუციშვილმა შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სატელეფონო ცენტრი გახსნეს.

ახალი სერვისის ამოქმედება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის ნაწილია, რომლის მიზანია, უწყვეტი დიალოგი და პარტნიორობა გადასახადის გადამხდელებთან.

ქოლცენტრის ნომერია (+995 32) 2 299 299 და მომხმარებლებისთვის მისი მომსახურება უფასოა. კონსულტაციის დრო ლიმიტირებული არ არის.

საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის მეშვეობით, გადამხდელს შესაძლებლობა ეძლევა ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია როგორც საკანონმდებლო სიახლეებსა და პროცედურულ ღონისძიებებზე, ასევე, საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებსა და პროცედურებზე, ზოგადად, შემოსავლების სამსახურის საქმიანობაზე.

„ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ იმისთვის, რათა გადასახადის გადამხდელებს გაუადვილოთ გადახდის პროცესი, მივაწოდოთ მათ მუდმივი ინფორმაცია. სწორედ ამ მიზნით დღეს ამოქმედდა შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრი, რომლის თანამშრომლები დღის განმავლობაში მზად იქნებიან კონსულტაცია გაუწიონ გადამხდელებს როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო სფეროებში. ვფიქრობ, ეს კარგი სიახლეა. ჩვენი მთავარი მიზანია, გავამარტივოთ ადმინისტრირების პროცესი, ვუზრუნველყოთ შემოსავლების სამსახურის ღია და გამჭირვალე მუშაობა,“ – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

ელექტრონულ სერვისებზე წვდომის გასამარტივებლად, გადამხდელს შეუძლია სატელეფონო სერვისით ისარგებლოს და, საგადასახადო სერვისცენტრში მიუსვლელად, საგადასახადო დეკლარირების განხორციელების მიზნით, ელექტრონული აქტივაცია განახორციელოს. შემოსავლების სამსახურის ქოლცენტრის ზარების განაწილების სისტემა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, თავადვე აირჩიოს საბაჟო ან საგადასახადო კონსულტანტი და მიიღოს სწრაფი და კვალიფიციური მომსახურება.

სატელეფონო ცენტრი დაკომპლექტებულია 20 კონსულტანტით. აქედან 15 საგადასახადო, 5 კი საბაჟო მიმართულების კონსულტანტია.

სატელეფონო ცენტრის სამუშაო საათებია 9.00-დან 18.00 საათამდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.

მედიანიუსი

# დილამ თამაში დაიწყო, ვიტ ჯორჯიამ – ვარჯიში

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რება. „დილას“ ახალგაზრდა გოლკიპერმა ოთარ მაისურაძემ საკუთარი გუნდი გაშვებული გოლისგან იხსნა.

„დილას მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი განაგრძობს სხვადასხვა ფეხბურთელებზე დაკვირვებას და საბოლოოდ მალე მიიღებს გადაწყვეტილებას დამრჩენ-წამსვლელთა შესახებ.

„ჩიხურას“ დუბლების წინააღმდეგ, „დილამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზუროშვილი, ი. ლომიძე, ბერუაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ჯიშკარიანი, ლობე, დიასამიძე, წიქარიძე, შუშიაშვილი, გოგინაშვილი, სადალაშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: მაისურაძე, ოქროპირიძე, ლ. ლომიძე, ც. ჩხიკვაძე, კურმაშვილი.

თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ კი, ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადება დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად დაიწყო.

„ვიტ ჯორჯიას“ ვებგვერდის ცნობით, 11-12 ივნისს გუნდის 27 ფეხბურთელმა სრული სამედიცინო შემოწმება გაიარა. 15 ივნისს გუნდის პირველი ვარჯიში შედგა.

სპარინგ მატჩების შესახებ ინფორმაციას „ვიტ ჯორჯია“ მალე გამოაქვეყნებს.

მიხეილ ყორყოლიანი

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სხვადასხვა ოპერებიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი ძველებური იტალიური ოპერა; 2. პოპულარული გერმანული ლუდი; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად:** 4. ქართველ პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 5. ქართველი მგოსანი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. საღებავების შესაზავებელი მხატვრის თხელი ფირფიტა; 8. თევზის საჭერი მოწყობილობა; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. ხარებთან ორთაბრძოლა; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 22. მსხვილი სამრეწველო-ფინანსური გაერთიანება; 23. ზოგი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო ან ფესვი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. კომეტა; 7. ასპარეზი; 8. პაროლი; 10. ტორტი; 11. ვისკონსინი; 13. პომიდორი; 16. კარატი; 19. რეგტაიმი; 20. კილოვატი.

**შვეულად:** 1. კოკაინი; 2. შტილი; 3. ასტატინი; 4. ტრემოლო; 5. სინდიკატი; 9. კისერი; 12. პალიტრა; 14. ორიონი; 15. დალი; 17. ტაიმი; 18. ორბი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რუ; 2. კანადა; 3. მაკლერი; 4. მია; 5. მესტია; 6. ბილ; 7. ანდანტე; 8. არგანი; 9. კოკა; 10. ანანკე; 11. ასორტი; 12. რომანი; 13. მანტია; 14. რეესტრი; 15. მა; 16. ელია; 17. გროგი; 18. ოსანა; 19. ანტრე; 20. ინოზიტი; 21. მარკ; 22. ზორგე; 23. სვია; 24. ტაუ; 25. ჩარი; 26. იაკი; 27. იდიია; 28. ერისიონი; 29. შედევრი; 30. კია; 31. რიკოშეტი.

**სურათებზე:** ლინდსეი ლოჰანი; ანატოლი ტიმოშჩუკი.

# ჩრდილოეთ ირლანდიაში „დიდი რვიანის“ სამიტი დაიწყო

ჩრდილოეთ ირლანდიაში, ლოხ ერნის კურორტზე „დიდი რვიანის“ სამიტი დაიწყო. უცხოური მედიის ინფორმაციით, შეხვედრა ორ დღეს გასტანს, რომელზეც „დიდი რვიანის“ ქვეყნების ლიდერები საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ეკონომიკის საკითხებს განიხილავენ. მთავარი თემა კი სირიის კონფლიქტი იქნება.

სამიტის დაწყებამდე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, დევიდ ქემერონი რუსეთის პრეზიდენტ, ვლადიმერ პუტინს სირიის თაობაზე ლონდონში ესაუბრა. შეხვედრის შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ მოსკოვსა და ლონდონს სირიასთან მიმართებაში განსხვავებული აზრი აქვთ, თუმცა ორივე მათგანი თანხმდება, რომ სირიაში ჰუმანიტარული კონფლიქტია და სისხლისღვრა უნდა შეწყდეს.

ამასთან, კამერონის თქმით, სირიაში სისხლისღვრაზე პასუხისმგებლობა ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს ეკისრება. პუტინმა კი აღნიშნა, რომ სირიაში არსებულ მდგომარეობაში დამნაშავე „ორივე მხარეა“ და მან დასავლეთს მოუწოდა თავი შეიკავონ მეამბოხეების შეიარაღებისაგან.

„სირიაში ჰუმანიტარული კატასტროფაა და ამას ყველა ვხედავთ. ჩვენ ვხედავთ არასტაბილურობას და ექსტრემიზმისგან მომდინარე საშიშროებებს. ჩვენ ყველას ერთი რამ გვინდა და ამიტომ დიდი რვიანის სამიტის ფარგლებში უნდა შევიმუშავოთ მიდგომა, რომლის განხორციელება რეგიონში მშვიდობის აღდგენამდე მიგვიყვანს“, — განაცხადა კემერონმა.

„თქვენ გინდათ ამბოხებულებს იარაღი მიაწოდოთ? არა მგონია, ეს ევროპის ჰუმანიტარულ პრინციპებს შეესაბამებოდეს. რუსეთი იარაღით ამარაგებს მოქმედ ხელისუფლებას და ეს საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების ფარგლებში ხდება. ჩვენ არც ერთ საერთაშორისო დადგენილებას არ ვარღვევთ“, — განაცხადა თავის მხრივ ვლადიმერ პუტინმა.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ ასევე ცნობილი გახდა, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, შესაძლოა, სირიელი მეამბოხეების შეიარაღებას დაუჭიროს მხარი. ეს ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ობამას ადმინისტრაციამ სირია ქიმიური იარაღის გამოყენებაში ოფიციალურად დაადანაშაულა.

სირიის საკითხის გარდა, „დიდი რვიანის“ სამიტზე გლობალური ეკონომიკური თემების განხილვაც იგეგმება.

სამიტზე დასასწრებად ჩრდილოეთ ირლანდიაში აშშ-ის პრეზიდენტი, ბარაქ ობამა უკვე ჩავიდა. სავარაუდოდ, აშშ-ის პრეზიდენტი, რომელიც პირველად იმყოფება ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელფასტის ცენტრში სიტყვით გამოვა.

ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე „დიდი რვიანის“ სამიტის ფარგლებში რუსეთის პრეზიდენტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბარაქ ობამასთან ორმხრივ შეხვედრებს გამართავენ.

„დიდი რვიანის“ სამიტში გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, იაპონიის, აშშ-სა და რუსეთის პირველი პირები მონაწილეობენ.

ამ ფონზე, ხუთშაბათს აშშ--ის სენატში, საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტში გაიმართა მოსმენები, სახელწოდებით „სახიფათო უკან დახევა — ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციიის გაუარესება რუსეთში“.

„მოწმეთა“ სახით მოსმენებში სიტყვით გამოვიდნენ სტივენ სესტანოვიჩი, არიელ კოენი, ფრანკ ჯანუზი, ლეონ არონი, ბორის ნემცოვი.



სხდომის შედეგები შეაჯამა სენატორმა, აშშ-ის პრეზიდენტობის ექს-კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან, ჯონ მაკკეინმა. მასთან ინტერვიუ ჩაიწერა „ბი-ბი-სის“ რუსულმა რედაქციამ. სენატორმა ისაუბრა რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის პერსპექტივებზე, მაგნიტსკის კანონის მომავალზე და იმ იმედებზე, რომლებიც პუტინისა და ობამას შეხვედრასთან უნად ყოფილიყო დაკავშირებული „დიდი რვიანის შეხვედრაზე“.

„ჩვენ დღეს ვუსმენდით მეტად პატივსაცემ ადამიანებს — სპეციალისტებს უშიშროებისა და ადამიანთა უფლებების სფეროში; ჩვენ ვუსმენდით ბორის ნემცოვის კომენტარებს, რომლის როლიც ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხში სრულიად შეუფასებელია. მათ წარმოადგინეს საკმაოდ არასასიამოვნო სურათი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, როდესაც ბატონი პუტინი მთელ ძალაუფლებას კრებს საკუთარ ხელში და ახორციელებს რეპრესიებს. იყო საუბარი მაგნიტსკის კანონსა და რუსი ობოლი ბავშვების გაშვილების აკრძალვასთან დაკავშირებით, და თუ ადრე არსებობდა ამ ბავშვების გადარჩენის გზა, ახლა ბავშვები მოაკლდნენ ამ საშუალებას.

მე მაღელვებს ბორის ნემცოვის უსაფრთხოების საკითხი, რადგან პუტინი არას დაგიდევთ ხერხებს, როდესაც სჭირდება ვინმეს გასტუმრება გისოსებს მიღმა. სწორედ ამიტომ არის მიღებული მაგნიტსკის კანონი, სწორედ ამიტომ მაფიქრებს ბორის ნემცოვის პირადი უსაფრთხოება.

მე იმედგაცრუებული ვარ იმ შეფასებით, თუ როგორ ახასიათებს მაგნიტსკის კანონს პრეზიდენტის ადმინისტრაცია...

პუტინის რეაქციამ, არ შემიძლია ვთქვა, რომ გაგვაკვირვა, არამედ, დაგვაკარგვინა ნდობა მისდამი — გაშვილების აკრძალვა და მოქმედებანი, მიმართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ეს არის უმწიფარი ბავშვური რეაქცია.

მინდა ვირწმუნო, რუსეთის ელიტა თანდათან მიხვდება, რომ ჩვენ საკუთარი მოქმედებით ვცდილობთ ყველანაირი ზომების მიღებას, რათა ის, რაც დაემართა მაგნიტსკის, არავის აღარასოდეს არ დაემართოს. ეს არ არის მხოლოდ რუსეთის პრობლემა — ეს არის საერთაშორისო მასშტაბის პრობლემა.

მე ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ბარაკ ობამამ გაიგოს რუსეთის ურთიერთობის არსი ბაშარ ასადთან და სირიის მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების არსი. და რა თქმა უნდა ადამიანის უფლებათა საკითხი უნდა იყოს მთავარი, ისე, როგორც ეს იყო რონალდ რეიგანის და მიხეილ გორბაჩოვის მოლაპარაკებების დროს“.

# ანკარაში დემონსტრაციების ჩატარება აიკრძალა



თურქეთის სამართალდამცავებმა კვლავ ცრემლსადენი გაზითა და წყლის ჭავლით გაყარეს დემონსტრანტები ამჯერად ანკარას კიზილაის მოედნიდან. საპროტესტო აქციის დაშლისას მინიმუმ ოთხი ადამიანი დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

უფრო ადრე პოლიციამ ანკარაში დაშალა სამგლოვიარო მსვლელობა, რომელიც აქციებისას გარდაცვლილების საპატივსაცემოდ იმართებოდა. ანკარას პარალელურად, არ წყდება მოწოდებები სტამბულში ტაკსიმის მოედანზე შეკრების შინაარსით, თუმცა მოედანი სრულად გადაკეტილი აქვს პოლიციას და ისინი აკონტროლებენ და ამოწმებენ ყველა გამვლელს.

მდგომარეობის გართულება განაპირობა ხელისუფლების მხარდამჭერთა აქციამ, რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რეჯებ ტაიპ ერდოღანის ინიციატივით სტამბულის მიმდებარედ გაიმართა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სტამბულის აეროპორტში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებიდან 1000 სპეცრაზმელი ჩამოვიდა. სპეცრაზმელები დაანაწილეს ავტობუსებში, რომლებიც მოგვიანებით ქალაქის მიმართულებით დაიძრნენ.

დღეიდან ანკარაში დემონსტრაციების ჩატარება ოფიციალურად აიკრძალა. ამის შესახებ ანკარის გუბერნატორის ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება.

„დემონსტრაციების, მსვლელობების და აქციების ანკარის ცენტრალურ ქუჩებში ჩატარება იკრძალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოსვლების აღსაკვეთათ სამართალდამცავი ძალების დახმარებას გამოვიყენებთ. აქციის ორგანიზატორების და მონაწილეების მიმართ კი საკანონმდებლო ზომებს გავატარებთ“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში საპროტესტო გამოსვლები „გეზის პარკის“ რეკონსტრუქციის გადადების მიუხედავად გრძელდება. „გეზის პარკის“ რეკონსტრუქცია, აღნიშნულ საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე გადაიდო.

როგორც თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რეკონსტრუქციის პროექტი მანამდე არ განხორციელდება, სანამ სასამართლო მისი კანონიერების საკითხს არ გადაწყვეტს. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ხელისუფლების გეგმას მხარს დაუჭერს, პროექტი რეფერენდუმზე გავა.

თურქეთის პროფკავშირებმა პოლიციის მიერ ანტისამთავრობო დემონსტრაციების დარბევის გასაპროტესტებლად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ერთდღიანი გაფიცვის შესახებ გამოაცხადეს. საჯარო მოხელეების კავშირთა კონფედერაცია და პროგრესული პროფესიული კავშირები პოლიციის ძალადობის შეწყვეტას ითხოვენ.

ბოლო დღეებში პოლიციასა და დემონსტანტებს შორის დაპირისპირება სტამბოლსა და ანკარაში მოხდა. კვირას სტამბოლში მხარდამჭერების წინაშე გამოსვლისას ქვეყნის პრემიერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ ის დიქტატორივით არ იქცევა და უცხოეთის მედიაც გააკრიტიკა.

შეგახსენებთ, რომ გეზის პარკის რეკონსტრუქციის წინააღმდეგ ეკოლოგების მშვიდობიანი აქცია, ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაიზარდა, რომლის მონაწილეებიც ქვეყნის პრემიერს დიქტატურაში ადანაშაულებენ. ადგილობრივი მედიასაშუალებების ცნობით, 18 დღიან გამოსვლებს ხუთი ადამიანი ემსხვერპლა.

# „ჰაბლის“ ტელესკოპმა აღმოაჩინა გიგანტური პლანეტა, რომელიც „არ შეიძლება არსებობდეს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ეგზოპლანეტების ტიპს ეკუთვნის, ანუ პლანეტებს, რომლებიც ვარსკვლავის ირგვლივ მზის სიტემის გარეთ მოძრაობენ. 900 ასეთ პლანეტას შორის, ის ყველაზე შორს მდებარეობს თავისი „მშობლიური“ ვარსკვლავისგან — ციური სხეული „ჰიდრასგან“ 12 მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული. შედარებისთვის, დედამიწას მშობლიურ ვარსკვლავთან 149 მილიონი კილომეტრი აშორებს.

გამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვარსკვლავი „ჰიდრა“ მხოლოდ რვა მილიონი წლისაა, რაც არასაკმარის ასაკად ითვლება იმისთვის, რომ ვარსკვლავმა პლანეტები გაიჩინოს. ამას გარდა, მას მსგავსი პროცესისთვის არასაკმარისი მასალები ჰქონდა და მისი მასა ძალიან მცირეა: იგი მზის მასის მხოლოდ 55%-ს შეადგენს.

„თუ ეს მასა სწორად არის გაზომილი, მაშინ გასაოცარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თეორიულად, აღმოჩენილი პლანეტა უბრალოდ არ შეიძლება არსებობდეს“, — აცხადებს „დეილი მეილისთან“ საუბრისას ინსტიტუტის ასტროფიზიკოსი ალან ბოსი.

# ირანის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია აგვისტოში გაიმართება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მართვაში. თეირანის ქუჩებში ამ დრომდე ათობით ათასი ადამიანია გამოსული და 64 წლის ლიბერალის გამარჯვებას აღნიშნავს.

აშშ-ის განცხადებით, ისინი მზად არიან ირანთან ატომურ პროექტთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დაიწყონ.



აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ირანის ისლამური რესპუბლიკის ახლადარჩეულ პრეზიდენტს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

„დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ აზერბაიჯანისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ურთიერთობას, რომლის საფუძველსაც ჩვენი ხალხის ნება წარმოადგენს. ჩვენ ერებს აკავშირებთ საერთო სულიერი ფასეულობები და ტრადიციები, ურთიერთნდობა, რამაც დროის გამოცდას გაუძლო“, — ნათქვამია აზერბაიჯანის პრეზიდენტის წერილში.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ წარმატებულად გავაგრძელოთ ჩვენს მიერ აშენებული და მყარ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებზე დამყარებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა“, — აღნიშნავს ილჰამ ალიევი.

ილჰამ ალიევმა ჰასან როუჰანს წარმატებები უსურვა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**შაბათი 18 ივნისი**

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭORIპANA„ 17.00 „ჩვენი ეზო„ 18.00 დ/ფ „ადამიანი პლანეტა„ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ 21.00 „აქცენტები„ 22.00 ტ/სერ „ნიკიტა„ 23.00 მხ/ფ „სიამაყე და დიდება„ (კ.ფარელი) 01.15 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 11.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 5 ნაწ. 14.00 ტ/სერ. „მეცნიერება ფილმებში„ I ნაწ. 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 6 ნაწ. 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) (პ/ე) 21.30 „არგუმენტების დრო„ (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: „სუხიშვილები„ 2 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „იღბლიანი სლევინი„ (ბ.უილისი) 01.35 მხ/ფ „შავი ხვრელი„ (დ.სელბი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ. „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია. 23.30 სერ. „გრიმი„ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „ადამიანთა სევდა„ 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 ისტორიის გაკვეთილი 16.05 კონცერტი - პლაჩიდო დომინგო 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოკლემეტრაჟიანი ფილმები - რეჟ.მიხეილ კობახიძე 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.55 კარაბადინი

**მაესტრო** 7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მალვიძარა 9.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 11.00, 14.30, 17.30, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50, 23.00, 3.30 თოქ—შოუ - „პოლიტმეტრი„ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 „პრეს-პრესი„ (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00, 6.00 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30, 5.30 „ყოველდღიური აბები„

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ივნისი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6527 | ევრო — 2,2017 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5848 | 100 რუსული რუბლი — 5,1967 |

**ამინდის პროგნოზი 18 ივნისისთვის**




# 21 ივნისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად საოჯახო სამზარეულოს 10-ტომეული

# მალე! ლეგენდარული „მგლის ბილიკი“ „ახალ თაობასთან“ ერთად



## „ჰაბლის“ ტელესკოპმა აღმოაჩინა გიგანტური პლანეტა, რომელიც „არ შეიძლება არსებობდეს“

„ჰაბლის“ ტელესკოპის ახალმა აღმოჩენამ ასტრონომები ჩიხში შეიყვანა. მან აღმოაჩინა პლანეტა, რომლის ფორმირების პირობები თანამედროვე მეცნიერების ჩარჩოებში არ ჯდება, ინფორმაციას კოსმოსური ტელესკოპის ვებგვერდი აქვეყნებს.

აღმოჩენა, ვარსკვლავ „ჰიდრაზე“ დაკვირვებისას გაკეთდა, რომელსაც დედამიწისგან 176 სინათლის წელიწადი აშორებს, ნათქვამია „ასტროფიზიქალ ჯორნალში“. აღმოჩენილი ციური სხეული

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 18 ივნისისთვის

არ გადაიტვირთოთ

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **კურო** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **ლომი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, თქვენთვის მშვიდად იყავით. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, სხვებს ნუ დაუჯერებთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, საქმეს ადვილად გაართმევთ თავს. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული კუთხე; 5. რაიმეს განვითარების მიმართულება; 9. ავსტრიელი ექიმი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. ფიგურული სახაზავი; 15. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 7. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. მოყვითალო ფერის სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 10. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 11. წყლის შიში; 13. მონასტერი კახეთში; 16. არქტიკული სარტყელის უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბბინა; 20. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ევროპაში სოხუმი ითამაშებს

**საკალათბურთო სუპერლიგის მონაწილე გუნდმა „სოხუმმა" ევროჩელენჯზე თამაშის სურვილი გამოთქვა.**

„სოხუმმა“ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში შეიტანა განაცხადი, რომლითაც ევროჩელენჯის 2013-14 წლების გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. წერილი უკვე გადაგზავნილია ფიბაში. განაცხადების შეტანის ვადა გუშინ ამოიწურა და ევროტურნირებზე საქართველოდან მხოლოდ „სოხუმი“ იქნება წარმოდგენილი.

სოხუმელები ახალი სეზონისთვის გაძლიერებას აპირებენ. გუნდს ეყოლება უცხოელი მწვრთნელი და რამდენიმე ლეგიონერი. არ არის გამორიცხული, „სოხუმმა“ უცხოეთში მოთამაშე ქართველი კალათბურთელებიც დაიბრუნოს. კულუარულად, ერთ-ერთი მათგანი ნიკოლოზ ცქიტიშვილი უნდა იყოს.



შეგახსენებთ, რომ „სოხუმი“ ევროჩელენჯის 2011-12 წლების გათამაშებაში მონაწილეობდა და მაშინ საკვალიფიკაციო ეტაპზე „მინსკი-2006“-თან ბურთების უარესი შეფარდების გამო გამოეთიშა ტურნირს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დააბრუნეთ ნიკოლოზ ცისკარიძე დიდ თეატრში!



ქართველი პრემიერის ნიკოლოზ ცისკარიძის დიდი თეატრიდან გაშვებას მოსკოვში უკმაყოფილება მოყვა. საპროტესტო აქცია და მოცეკვავის მხარდასაჭერი აქცია მოსკოველებმა დიდი თეატრის წინ მდებარე რევოლუციის მოედანზე მოაწყვეს.

როგორც რუსული გამოცემა „ლენტა.რუ“ იტყობინება, დიდი თეატრის წინ შეკრებილმა ადამიანებმა ნიკოლოზ ცისკარიძის დიდი თეატრიდან დათხოვნა გააპროტესტეს.

აქციაზე მისულმა მოსკოველებმა მოცეკვავის პორტრეტებია და საგანგებო პლაკატები მიიტანეს, რომლებზეც ეწერა: „დიდო! ცუდად იქცევი!“, „ვინ, თუ არა ის?“, „ცისკარიძე – რუსეთის სიამაყე!“.

აქციის მონაწილეები დიდი თეატრის ხელმძღვანელობისგან ნიკოლოზ ცისკარიძისთვის კონტრაქტის 5 წლით გაგრძელებას ითხოვდნენ. მათ რუსეთის კულტურის მინისტრის ვლადიმერ მიდინსკის სახელზე საგანგებო წერილიც შეადგინეს, სადაც დიდი თეატრის დირექტორ ანატოლი იკსანოვზე ზეწოლის მოხდენა ითხოვეს, რათა ამ უკანასკნელმა ბალერონთან კონტრაქტი არ გაწყვიტოს.

ნიკოლოზ ცისკარიძემ „ეხო მოსკვის“ ეთერში აქციაზე მისულ თავის მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეთიკური მიზეზების გამო აქციაზე მისვლა არ შეუძლია.

– ეთიკური მიზეზების გამო აქციაზე არ მივალ. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარი დამიჭირა. ფაქტია, რომ დიდ თეატრში აღარ ვმუშაობ, თუმცა ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია სად ვიმუშავებ, – განაცხადა დიდი თეატრის ყოფილმა ბალერონმა.

ნიკოლოზ ცისკარიძეს შრომითი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდა, რის გამოც პირველი ივლისიდან ის დიდ თეატრში აღარ იმუშავებს არც მოცეკვავედ და აღარც პედაგოგად.

– ნიკოლოზ ცისკარიძეს უკვე გადაეცა შეტყობინება, სადაც აღნიშნულია, რომ მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელდება. მას დიდი თეატრში ბალერონად და პედაგოგად მუშაობის ვადა 30 ივნისს ამოეწურება. სწორედ ეს იქნება მისი მუშაობის ბოლო დღე დიდ თეატრში, – განმარტავს დიდი თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელი კატერინა ნოვიკოვა.

დიდი თეატრის პრესსამსახურის ხელმძღვანელი არ აკონკრეტებს იმ მიზეზებს, რის გამოც პრემიერი თეატრიდან დაითხოვეს.

თავად ნიკოლოზ ცისკარიძე აცხადებს, რომ მას ასე მიზანმიმართულად ექცევიან. კონფლიქტი პრემიერსა და დიდი თეატრის ხელმძღვანელობას შორის 2011 წელს გამძაფრდა, როცა მოცეკვავემ სა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ირანის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია აგვისტოში გაიმართება

ირანის ახალი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის ინაუგურაციის ცერემონია ორ ეტაპად 3 და 5 აგვისტოს გაიმართება. აღნიშნულის შესახებ ირანის მასობრივი საინფორმაციო საშაულებები იუწყებიან.

ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები 14 ივნისს ჩატარდა, სადაც რეფორ-



მატორების წარმომადგენელმა ჰასან როუჰანმა გაიმარჯვა. ამომრჩეველთა ნახევარმა მას დაუჭირა მხარი. არჩევნებზე დასწრება 72,7%-ს შეადგენდა.

ირანის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც თავის გამარჯვებას უწოდა ახალი შანსი მათთვის, ვინც აფასებს დემოკრატიას, თანამშრომლობას და ღია დიალოგს. ამის შესახებ ინფორმაციას ბიბი-სი ავრცელებს.

„დიდება უზენაესს. ირანში გონიერებამ გაიმარჯვა. ესაა საღი გონების დიდი გამარჯვება ექსტრემიზმზე“, – ნათქვამია ჰასან როუჰანის სპეციალურ მი-

გაგრძელება მე-11 გვერდზე